

ფრიდრიხ შილლერ

ვილჰელმ ტედე

თარგმნილი გერმანულით
საქმედო მანუშიაშვილის

სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი. — 1927

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, კლემან. კრ. № 91.
8/XII—27 მთავარლ. № 2142. უკვე. № 257/3117. დაიბეჭდა 3000

გოგმედნი:

ჰერმან ბისლერი — შვილის და ურის ქართველი

ჰერნერ უბაუფახერი
 კონრად ჰუხე
 იბელ რედინგ
 ჰანს მაუერ

შვილის გლეხები

ვალტერ ფიურსტ
 ვილჰელმ ტილ
 როსემან — ხუცესი
 კიბერმან — შწყემსი.
 უონ — შწყემსი
 ჰერნი — მონადირე
 რუოდი — მებადური

ურის გლეხები

არნოლდ მელსთალ
 კონრად გაუმბარტენ
 მაიერ სარენს
 უბრუტ ვინკელრიიდ

ნტეოვალდენის გლეხები

ჰენი — მებადურის ბიჭი

სიპი — შწყემსის ბიჭი

ბერტრუდ — შტაუფახერის მეუღლე

ჰიდვიგ — ტელის მეუღლე, ფიურსტის ქალიშვილი.

პრეზბარდ
მხსთილდ
ელსებტ
ჰილდებარდ

} დედაქაცები

ვალემრ
ვილჰელმ

} ტელის შვილები

ჟრისჰარდ
ლოიბჰოლდ

} დარაჯები

რუდოლფ ჰარას, გესლერის თანაშემწე

შტიუსი — შვილდოსანი მეველე.

მთხრობელი — ურიდან

შტიუსი -- შვილდოსანი მეველე.

ხემდეგი, კალატონი, დურგალი, თანაშემწე, მუშები, გსირო რაჯი, ალექსანდრა, ქალები.

პირველი მოქმედება

პირველი სურათი.

კლდიანი ადგილი ტბასთან *)

ჟანი. (მებაღურის ბიჭი). გველიმება ტბა ნაზო.

საბნაოდ გვიწვევს ის!
მწვანე კორდის ნაპირზე
მისცემია ბაეში ძილს.
და სიზმარში მოესმის
'ზარის რეკა ამო ხმის:
თითქოს ცაში გალობდნენ
ანგელოზნი სამოთხის.
როცა ბაეში იღვიძებს,
გული შვებით ევსება,
და მჩქეფარე ტალღები

*) ორიგინალთან შედარებით. ამ დრამაში გამოტოვებულია ერთი მოქმედება და რამდენიმე სურათი. სცენაზე დასადგმელად მონტაჟი გაკეთებული აქვს რეჟისორ დოდო ანთაძეს. მაგრამ თვით ამ თარგმანშიც ზოგიერთი გამოტოვებული ტექსტი, მე მაინც შევიტანე, რომ მკითხველს უფრო მთლიანი წარმოდგენა ჰქონდეს.

დაიდგა პირველად ქართულ სცენაზე 6 იანვარს 1927 წ. დოდო ანთაძის რეჟისორობით.

მთარგმნელი.

მის მკერდს ეალერსება.

ვილაც წყლიდან უძახის:

კობტა ბიჭო, ჩემი ხარ!

ოაგიტაცებ უფსკრულში,

მუდამ ძილს რომ სჩვევიხარ!

უონი მწამსნი. (მთაზე) ვტოვებთ მინდვრებს, მშვიდობით!

ზეცა მოიბურება;

გაზაფხული წაგვივა,

ფერს შეიცვლის ბუნება;

მწყემსიც თავის ბინიდან

ბარად მიეშურება!

ისევ მთაზე ამოვალთ,

როს გუგული დაიმღერს;

როს შეგამკობს ყვავილი,

თოვლსაც სხივი აიღებს;

წყალი გადაიღვრება

და ველს გულში ჩაიხვევს!

ვტოვებთ მინდვრებს, მშვიდობით!

ზეცა მოიბურება;

მწყემსიც თავის ბინიდან

ბარად მიეშურება.

მონადირე. მთაში ელავს, ჰქუხს საზარლად, მეხრ
სძრავს,

მონადირე არ უკრთება, მისღევს გზას!

მალალ კლდეზე ყინულია მდებარე;

აქ ზაფხული სულ არ მოდის მგზნებარე!

არც ქედებზე ამწვანდება მცენარე.

დაბლა მდელოს ნისლი ჰფარავს, არ აჩენს;

და ვერც თვალს ადამიანს გაარჩევს!

ხან ღრუბელი გაიპობა შეკრული;

შორით: მოსჩანს ბარი მწვანით შემკული:
მთაწმ, ელავს, ჰქუხს საზარლად, მეხი სძრავს!
მონადირე არ უკრთება. მისდევეს გზას.

ქალალ კლდეზე ყინულია მდებარე;
აქ ზაფხული სულ არ მოდის მგზნებარე!

რუმოლი. მარდათ ჯენი! მორჩი! მარდათ!

გამოიტა ნაპირზე ნავი!

ახედავ; მთის წვერი ჩამოიქუშა.

კუეში გრიგალი სასტიკად ღმუის.

კელარ მოასწრებ, წვიმა დაგვიშენს.

უმანი. ავდარს აპირობს, მეზობელო!

ახედავ. რა რიგად ეხარბება ცხერის ფარა ბალახს.

და ზვადიც რარიგ მიწას ფხოქნის...

ჰმანი. წყლიდან თევზები მალლა ხტებ-ან....

სოლო ფირფატი ეხლა ბანაობს...

უცბად ავდარი წამოუშენს...

უმანი. (მწყემს ბიკს) ნახირს მიხედე, სეპი! ნახირს!

არ კაითანტოს....

სმპი. რუხი ღინელი აქვე არის, ვსცნობ ზარს! ხმაზე.

უმანი. მაშ სხვებიც არსად წავილოდნენ!

პარტო ის ქსუობს.

რუმოლი. კარგი ზარები კი შეგებამთ... კეთილთ მწყემსო!

ჰმანი. ძროხაც კარგია, მეზობელო! სულ ხომ თქვენია...

აქვენ გეკუთვნით?...

უმანი. ეგრე მდიდარი მე როდი ვარ—ჩემზედ ითვლება
ძაგრამ ეკუთვნის კეთილ ბატონს ატინგჰაუზენს!

რუმოლი. რა შეენის იმ ხარს ყელსაბამი!...

უმანი. ეგ ხარმაც იცის და ამაყად მიტომ დაუძღვის!

და რომ შემოეხსნა, ეწყინება, ბალახს არ მოსძოვს!

რუმოლი. მაგას ოას ბრძანებ! პირუტყვი და ასეთი აზრი?

ვერნი. დიას. პორტუგევსაც გონება აქვს...

ეს კარგად ვიცი. ვინც ვნადირობთ მთაში ჯიხვებზე!
მათ ფარას ერთი დარაჯი ჰყავს. თითქმის მზვერავი!
აოკალიერებს გამუდმებით და როს თვალს მოჰკრავს
ახლოვდება მონადირე, ყურებს დააწყვეტს.
უცბად შესწივლებს და ნადირნი ეფარებიან.

რუოლი. (მწყემსებს) ეხლა ბარათ თუ მიერეკებით?

უონი. დიას. საკვები ამ. ალპებში გამოილია.

ვერნი. კეთილი იყოს თქვენი მგზავრობა!

უონი. აგრეთვე თქვენიც!

მონადირეს ხომ გზად ხიფათი ხშირად უხდება!

რუოლი. აქეთკენ მორბის ვილაც კაცი გამალეული.

ვერნი. მაგას ხომ ვიცნობ! ბაუმგარტი არცელელია.

(ბაუმგარტი ქშენით შემოიჭრება).

ბაუმგარტი. ღვთის გულისათვის!.. ჩქარა ნავი!

რუოლი. რაო. რა მოხდა? რაზე ჩქარობ?

• **ბაუმგარტი.** ახსენ ნავი! ჩქარა გადაღმა გადამიყვა.
გადამარჩინე!

უონი. რა მოხდა? რა დაგემართა?

ვერნი. ვინ მოგდევს, ძმაო?

ბაუმგარტი. (მეზადურს) ჩქარა! ჩქარა!

მთავარმართებლის ცხენოსნები მდევრად მომდევნ.

თუ კი შემიპყრეს, არ ამცდება სიკვდილით დასჯა!

რუოლი. რა დაუშავე? რად მოგდევნ?

ბაუმგარტი. ჯერ მიშველეთ. მერე გიამბობთ!

ვერნი. სისხლში შესვრილხარ... რა ჩაიღინე?

ბაუმგარტი. როსბერგში რომ მოადგილეა ---

უონი. ვოლფენშისენი? მდევარი მან გამოგიყენა?

ბაუმზარბ. ველაოას ძავენებს! მე იგი მოვკალ!

ხველანი. (უკან იხევინ) ღმერთი გფარვიდეს! ეს რა გიქნია!

ბაუმზარბ. რასაც იქმოდა ჩემს მაგიერ და ჩემს ყოფაში ყოველი კაცი თავისუფალი!

ჩემი ოჯახის დავიკვე მე პატიოსნება,

კოლის ნამუსი!

შონი. ნუთუ შეეხო შენს კოლს იგი?

ბაუმზარბ. და იუ ვერ შესძლო ასრულება საზიზღარ
ქონის.

უნდა ვემადლო განგებასა და ჩემს მჭრელ ნაჯახს.

ხველანი. მაშ ნაჯახით თავი გაუბე?

შონი. გვიამბე სანამ ნავს აუშვებს...

ბაუმზარბ. ტყეში ვიყავ და შეშას ვჭრიდი.

ჩემთან მოვარდა ჩემი კოლი გაფითრებული.

და მითხრა: მეფის მოადგილე ჩვენს სახლში წევსო!

მოხოვა აბანო და მეც იგი გაუმზადეო,

შემდეგ მას ძალით მოენდომნა კოლის შეპყრობა.

ნამუსის ახდა. მაგრამ კოლი გამოჰქცეოდა!

დაუყოვნებლივ გავეშურე და მოძალადეს

ბასრი ნაჯახით ვუკურთხე მე იგი აბანო.

ხველანი. ვერვინ გაგკიცხავს მაგ საქმისთვის. კარგად
გიქნია.

შონი. ო. მტარვალისთვის ღიოსეული ჯილდო
გიძღვნია!

დიდი ხანია ის ღირსიც იყო!

ამ უნტერვალდში მშვიდ მცხოვრებთა ტანჯვების გამო.

ბაუმზარბ. უცბად გაიგეს ეს ამბავი... მდევარი მომდევს.

ამ ლაპარაკში — ღმერთო ჩემო! დრო შეკარგება!

(ჰქეხს).

უონი. ჩქარა, მენავევ! გადაიყვა ეს კაცი გაღმა.

რუოდნი. არ შემძლიან... ქარიშხალი მიაფრი იქნება!

უნდა მცირე ხანს შევიცადოთ!

ბაუმბარტ. ღმერთო! რას ამბობ? ცდა არ იქნება!

ყოველი წუთი სიკვდილს მიქადის.

უონი. (მებაღურებს) ახსენე ღმერთი და გაიყვა.

უნდა უშველო კაცს გაჭირებულს!

შესაძლო არის, ასეთი რამ ყველას შეგვემთხვეს.

(ველვა და ქუხილი, ქარიშხალი).

რუოდ. განა ვერ წედავთ რა ღვთის რისხვაა?

ტბა რა რიგ ღელავს?

არ შემძლიან გაუმკლავდე გრიგალს და ტალღებს.

ბაუმბარტ. (მუხლებზე ეხვევა).

აგრემც გიშველით შემძლებელი, შემადლებინეთ.

ჰერნი. ბეწვზე ჰკიდია მისი სიცოცხლე, უნდა უშველო!

უონი. იგი ცოლშვილის პატრონია და მეოჯახე.

(ველვა ქუხილი და ქარიშხალი).

რუოდნი. აბა რას ამბობთ?

ჩემი სიცოცხლე თვით ჩავაგდო ნამდვილ საფრთხეში?

მეც მაგასავით მამა ვარ და ცოლის პატრონი.

განა ვერ ჰხედავთ, როგორ ღელავს! როგორ შეხს ისვრის?

ტბა ძირიანად გადმობრუნდა...

შესაძლო იყოს, ვუშველიდი სიამოვნებით,

მაგრამ ხომ ჰხედავთ, ცხადათ ხედავთ. არ შეიძლება!

ბაუმბარტ. (ველვა დაჩოქილი).

ქაშ მტერს უნდა ხელთ ჩაუვარდე?

როცა ახლო ვარ ხსნის ნაპირთან?

— აქ, გადაღმა ხომ ჩემი ხსნა არის!

მას თვალით ვხედავ

და ხმასაც ვაწვდენ აქვეა ნავიც,

რომლით შევიძლებ გადაცურებას!

ამ დროს აქ დავყო, დაკრჩე უმწეოდ მინებებული?

უონი. ჰხედავთ, ვინ მოდის?

ჰმარნი. ტელ ბიურგლელი!

(ტელ შეილდისრიი).

ბელ. შევლას ვინ ითხოვს?

უონი. კაცია ერთი ალცერელი,

რომელმაც მოჰკლა ვოლფენშისე და მით დაიკვა
თავის მეუღლის და ოჯახის პატიოსნება.

უკან მოსდევენ ცბენოსნები, უნდათ შეიპყრან.

მენავეს იგი ეხვეწება: გადააცუროს გადაღმა ნაპირს.

მაგრამ მენავე ვერა ჰხედავს, ქარიშხალს უკრთის!

უონი. ტელმა გამსაჯოს, ცურაობა მაგანაც იცის.

ასეთს ამინდში შეიძლება ნავის გაშვება?

ბელ. კაცს როცა უჭირს — შეიძლება...

(უფრო მეტი ელვა-ეუხილი. ტბა ჭაღღებს ისვრის).

რუონი. ესდენ აშკარა განსაცდელში ჩავაგდო თავი?
ქკვათა მყოფელი... რომელი იზამს?

ბელ. უნდა ვაუკაცი თავის თავზე ბოლოს ფიქრობდეს.
ასდენე ღმერთი და უშველე მაგ გაჭირვებულს!

რუონი. სხვა სხვის საქმეში ბრძენი არის ამ მყუდრო
ადგილს.

აი, ეს ხავი და ესეც ტბა! სცადეთ თქვენ თვითონ!

ბელ. ტბა შემბრალება, მართველი არა!

მებადურო, გადაარჩინე!

მწამსნაპი და მონადირამაპი. უშველე! იხსენ! გადაიყვა!

რუოღი. თუნდაც ძმა იყოს, ან ღვიძლი შვილი.

მაინც ვერ ვიზამ....

ღღეს ნავსი ღღეა სიმონ იუდის. ტალღა მსხვერპლს
ითხოვს.

ბელ. მაგ ცრუ ლაპარაკს თავი ანებე, არც მაგის დროა!
ამ კაცს ეხლა შველა სჭირდება!

არ გადაიყვან?

მითხარ, მენავევ!

რუოღი. არა! მე ვერა!

ბელ. ღმერთი მყავს შემწეთ! მომეც აქ ნავი!
ვცდი ჩემს ძალ-ღონეს!

უონი. მამაცო ტელ!

ჰერნი. აი ვაჟკაცის თავდადება!

ბაუშბარბი. ჩემი მფარველი, ჩემი მხსნელი შენა ხარ.
ტელ!

ბელ. გიხსნი მართველის უსამართლო, უხეშ ძალიდან,
მხოლოდ ტალღებში შენი შემწე დაე სხვა იყოს!

უმჯობესია შენი ბედი განგებას ანდო,

ვიდრე მომაკვდავ ადამიანს...

(მწუმსებს).

თქვენ, მეზობლებო! ანუგეშეთ ჩემი ცოლშვილი.

თუ რამ შემემთხვა აღელვებულ ტალღათა შორის.

(წავში ჩახტება).

უონი. (მებაღურს) შენ ტელზე უფრო გამოცდილი ნაო-
სანი ხარ!

თუ მან გაბედა. არ შეგეძლო შენ გაგებენა?

რუმოლი. საუკეთესო ვაჟკაცებზე ტელთან ვერ მივლენ!
ჩვენს მთებში მაგას ტოლი არ ჰყავს.

ვერნი. (კლდეზე ავა).

აგერ. მისცურავს! მხნე მცურავო, ღმერთიმც გიწველის!
უმზირეთ, როგორ მიქანაობს ნავი ზვირთებში!

უმონი. (ნაპირიდან) გადასცურეს! მათ ველარ ვხედავ!

მოიცა, აგერ. კიდევ გამოჩნდა!

რა შედგრად ებრძვის, ნიჩაბს უსვამს, მიაპობს ტალღებს!

ხვანი. მდევარი მოდის თქარა-თქურით!

უმონი. მართლაც ისინი მოაქროლებენ.

(ძროზე უშველა!

(შემოარღვევს ლანდენბერგელი ცხენოსანი რაზმი).

პირველი ცხენოსანი. მკვლელი აქეთკენ გამოიქცა, აქ
იმალეობა!

მეორე ცხ. ამ გზით მორბოდა. გამოაჩინეთ!

უმონ და რუმოლი. ვის ჰკითხულობთ?

პირველი ცხ. (ნავს შენიშნავს).

დახე! დალახვროს!

ვერნი. (მალლიდან) იმას არ ეძებთ. ვინც იმ ნავშია?

თუ კვალს მიყვებით, მას დაეწევით!

მეორე ცხ. დახე, წყეულმა, თავს უშველა!

პირველი. (მწყემსებს და მებადურებს).

ოქვენ გააპარეთ! თქვენ აგებთ პასუხს!

ყველას ნახირი ჩამოართვით! დაწვით!

(სიჩქარით გადიან).

ხვანი. (მისდევს) ვაიმე. ჩემო ფურო და ძროხავ!

უმონი. ვაიმე ჩემო, ნახირო!

ვერნი. მტარვალეობო!

კუოდნი. ზეცის მსაჯულო! როდის მოუვლენ ამ ქვეყნას

მხსნელს თავდადებულს?

მეორე სურათი.

(შვიცში. შტაუფახერის ეზო, კარ-მიდამო გზის პირად ხიდის მახლობლად, ეზოში ცაცხვია).

ზაიფერ. დიან, ბატონო შტაუფახერ! როგორც გირჩიე... ფიცს ნუ მისცემ ავსტრიის მეფეს; თუ კი ეს ძალგდის აიცდინო! როგორც იყავით, მტკიცეთ დარჩით და შეურყევლად. ღმერთიც ფარვიდეს თქვენს ძველებურ თავისუფლებას.
(გულითადად ხელს ჩამოართმევს და წასვლას აპირებს).

შტაუფახერ. დარჩენილიყავ ჩემი ცოლის დაბრუნებამდე აქ შვიცში მე ვარ მასპინძელი, თქვენ კი ლუცერნში.

ზაიფერ. გმადლობ! მე დღესვე გერზაუში უნდა ჩავიდე! რაც უნდა მიძიმე ზრ შეიქმნეს მართველის ტვირთი: მისგან დაჩაგვრა მწრისხანება, უსამართლობა — გარდაიტანეთ მოთმინებით!...

შესაძლო არის, დრონი იცვალნენ

შტაუფახერ. სულ ძალე. ტახტზე სულ სხვა მეფე ავიდეს. მაგრამ თუ ერთხელ დაემონეთ ავსტრიის უღელს, მონად დარჩებით სამუდამოდ.

(გადის. შტაუფახერი ცაცხვებ ქვეშ სკამზე ჩამოჯდება ღრმად დაწმუხრებული. ასეთ მდგომარეობაში დახვდება გერტრუდას, მის მეუღლეს, რომელიც მის გვერდით გაჩერდება და დიდხანს უსიტყვოდ თვალაურს ადევნებს).

გმირბრუღ. ჩემო ძვირფასო!
რაზედ მწუხარებ? ველარ მიცენიხარ!
კარგახანია ჩათხრობილს გიმზერ.
რა შავი ფიქრი შენს შუბლს აწუხებს!
რა ჩუმი ზრუნვა გულს დაგწოლია?
გამიზიარე, მანდე, შენს ერთგულს,
ერთგულ მეუღლეს, რომ მძიმე დარდი გავინაწილო,
(შტაუფახერი ხელს გაუწვდის და სდუმს).

მითხარ, რამ უნდა შეაშფოთოს დღეს შენი გული?
დალოცვილია შენი მარჯვენა.
ჰყვავის ოჯახი.

აღვსილი არის შენი ბელლები.
მთიდან ნახირი და ცხენის ჯოგი
მწვიდობიანად დაბრუნდა ბარათ.

შენი სახლკარი მდიდრულად მორთე,
როგორც თავადის საბრძანებელი,
ის ააშენე მკვიდრი მასალით,
ბრწყინავს ფანჯრებით, შუშაბანდებით.

კედლებზე ყველგან ბრძნული წარწერა
გამვლელს აჩერებს და მგზავრს ანცვიფრებს.

შტაუფახერი. დიახ, სახლკარი შემკობილ შექვს.
მაგრამ მას — ვაგლახ! — ნიადაგი, ფუძე გვინდა.

გმირბრუღ. არ მესმის. ვერნერ!

შტაუფახერი. მარტო ვიჯექ იმ დღეს ცაცხვის ქვეშ.
გულმხიარული შევეყურებდი ჩემს კარმიდამოს
ამ დროს გამოჩნდა მომავალი კიუსნახტიდან
ჩვენი მართველი მხლებლებითა და ცხენოსნებით.
დიდხანს უმზირა ამ შენობას განცვიფრებულმა.
უცბად წამოვდექ, მივეგებე მას მორჩილებით.

როგორც შექფერის მოადგილეს ამ ჩვენს მხარეში.
თუმცა იცოდა, მაინც მკითხა მგესლავი ენით:
„ვისი არის ეს შენობაო!“

მსწრაფლ მოვისაზრე და ვუპასუხე:

„სახლი ეკუთვნის ჩემს ბატონს მეფეს

და თქვენ, მართველო,

თქვენი ნებართვით ვფლობებლობ — მეოქი!“

სიტყვა მომიჭრა:

„ამ ქვეყნად მეფის მოადგილე ვარ

და სულ არ მომწონს, ვილაც გლებუქამ

დაუკითხავათ სახლი ააგოს

და ბატონივით გამომეჭიმოს.

ამ თვითნებობას არ შეგარჩენო!“

სთქვა და გაჰქუსლა გოროზიანმა;

მე დავრჩი სულით დამძიმებული

და იმის სიტყვებს ღრმად შევუტყუროვარ.

გმირბრუნდ. ოჯახის მამავ და საყვარელო!

ხომ შეგიძლიან ცოლს მომისმინო?

ქალიშვილი ვარ განთქმულ ებერგის...

ჩემს დებთან ერთად მატყლი მირთია

ლამე ძალიან გვიანობამდე;

ამ დროს მამასთან ყოფილა ხალხი:

სოფლის რჩეულნი და მეთაურნი.

უკითხავთ ძველი სიგელ-გუჯრები

რჩევა ჰქონიათ სოფლის ავკარგზე.

გულმოდგინებით ბრძნული სიტყვები მომისმენია

და შთამნერგია იგი ღრმად გულში.

ეხლა გთხოვ მცირედს, შენც მომისმინო,

რადგან, რაც გტანჯავს, მე უკვე ვიცი,

— შენ სძულხარ მართველს. ჰსურს გაგამწაროს

რადგან ხარ ურჩი წინააღმდეგი
რომ შეიცვლებდი ფერხთ არ დაუმხე
ახალ მბრძანებელს, პირიქით მსგავსად
წინაპართ მოდგმის, დარჩი ურყევად
და თქვენი ქვეყნის მტკიცე ერთგულნი.
ასე არ არის, ძვირფასო ვერხერ?
მიოხარ, თუ ვცდები!

შტაუფახერი. ასეა სწორედ! ამიტომ არის მართველი
მწყრალად!

გერტრუდ. შური აწუხებს. რადგან ცხოვრება გაქვს
ბედნიერი,

გაქვს საკუთრება და თვითონ ხარ თავისუფალი,
რადგან მას კერძო არ აბადია.

შენ შეგიძლიან აჩვენო ყველას შენი სახლ-კარი:
როგორც აჩვენებს შემძლე თავადი თავის ქონებას.

რადგან შენ არ სცნობ არვის ბატონათ,
გარდა იმ ერთის, ვინც უფროსობს საქრისტიანოს.

ის კი მწირია თავის ჭერ ქვეშე
ხელს ვერას ახლებს, საკუთრებათ დაასახლოს.

გარდა რაინდის წამოსასხამის.
ამიტომ გიმზერს ბოლმით სავსე.

დაფიცული აქვს შენ დაგლუპოს. მაგრამ გადარჩი.
გინდა ელოდო. ვიდრე ზრახვას აისრულებდეს?

ქვეიანმა კაცმა უნდა დაასწროს.
შტაუფახერი. რა მოვიქმედო?

გერტრუდ. (უახლოვდება).

მაშ მოისმინე ჩემი რჩევა! შენ კარგად იცი
შეიცში მართველის არის ყველა უკმაყოფილო.

ჩემი იმის სისასტიკეს და მრისხანებას.
არ მეეჭვება. გაღმა ურში, უნტერვალდენშიც

კერ აიტანენ უცხოელთა ძალმომრეობას.
ნათ მიძიმე უღელს: როგორც გესლერ აქ ძალმომრეობს,
ისე გადაღმა, იმ ტბებს იქით, ლანდენბერგერი.
ჯერ ისე ნავი ჩვენს ნაპირზე არ გადმოსულა.
რომ საზარელი ამბავი არ გადმოიტანოს.
ამიტომ ჩვენი და იმათი მეთაურები
უნდა შემოკრბეთ საიდუმლოთ სადმე ყრუ ადგილს.
გამოარკვიეთ როგორ დასცეთ უცხო ბატონი
და დაამსხვრიოთ დამჩაგორელი მონის უღელი.
ვფიქრობ, უფალი თქვენი შემწე იქნება მარად.
გზას წარუშართავს სამართლიან დაწყებულ საქმეს!
არ გეგულება ურში სანდო ადამიანი,
მას შენი გული გადაუხსნა, გაუზიარო?
შბაუშახმარ. იქ მრავალს ვიცნობ ღირსეულებს, ნამ-
დვილ ვაჟკაცებს.

რომელთ ეენდობი და ნდობითვე მე-მეპყრობიან.

(წამოდგება).

მეუღლეე ჩემო!

რა საშინელი და მშფოთარე ფიქრი აღმიძარ?

ჩემს ფარულ ზრახვებს გარეთ აფენ მზის სინათლეზე.

მე რასაც ფიქრად ვერ ვბედავდი, იმის თქმა შესძლო
და მოსაუბრე მსუბუქ ენით გადამიშალე.

-- მაგრამ ეგ რჩევა თუ ოდესმე აგიწონია?

იცი თუ არა, რა სასტიკ ბრძოლას

და რა სისხლის ღვრას იწვევ ამ ჩვენს მყუდრო მხარეში?

და განა შესძლებს მწყემსებიდან შემდგარი ხალხი.

სუსტი და მცირე: გაუმკვლავდეს ქვეყნის მბრძანებელს?

მიზეზს ეძებენ (და ამ მიზეზს ჰპოვებენ კიდევ).

დამსჯელი ჯარი ჩვენს ქვეყანას შემოაღსიონ.

ქემუსრონ სრულად ის მცირედი თავისუფლებაც,
რომელიც მხოლოდ სიგელებში აღნიშნულია!

შტაუფახერი. ო, ჩემო ცოლო!

ბასრი ნაჯახის ხმარებაც იცით,
გამბედავს მუდამ განგებაც შველის!
ომიანობა საზარელი მოვლენა არის.
სობრებს მინდვრებს, ზოცავს მწყემსებს
და ნთქავს ცხვრის ფარას.

გმირბრუდ. ზეცის მოძღვნილი კაცმა უნდა გადაიტანოს!
როგორ მოითმენს უტიფრობას ვაჟკაცის გულში?

შტაუფახერი. ჩვენ ეს სახლი ავაშენეთ, შენს გულს
ახარებს!

ომი მას დასწევას, ფერფლად აქცევს...

გმირბრუდ. და რომ ვიცოდე, ამ ქონებით ვარ შებოჭილი.
საკუთარ ხელით ცეცხლს მივცემდი და გადავწვავდი!

შტაუფახერი. საკაცობრიო გასულდგმულებს! მაგრამ არ
ზოგავს

ასტიკი ომი ძუძუთა ბავშს, აკვანში მწოლარს!

გმირბრუდ. უცოდველები დაე ცაში განიხარებდნენ!

ვერნერ შეუღლეე! წინ ისწრაფე! უკან ნუ იხევ!

შტაუფახერი. ჩვენ ვაჟკაცები, ვაჟკაცურად დავიხო-
ცებით.

მაგრამ თქვენ ქალებს, სუსტ არსებათ, რა ბედი გელით?

გმირბრუდ. სუსტ არსებასაც არჩევანი მოეპოვება!

რომ არ დანებდეს, სადმე კლდეზე გადაიჩივოს.

შტაუფახერი. (გულში ჩაიკრავს).

ვისაც ასეთი მეუღლე ჰყავს თვის გულთან ახლოს,
თავს არ დაზოგავს მამულისთვის სისხლი დაღვაროს!
არც შეეკრთება ღირსებუ ღაწქარს და მეფის ძალას.

ენტლავ ურისკენ წავალ ფეხით, წავალ სასწრაფოთ!
იქა მყავს ერთი მასპინძელი ძმად განათიცი,
ვალტერ ფიურსტი!

ჩემებრ იმასაც დღევანდელი ყოფა აწუხებს.

იქ ვნახავ კიდევ სხვა მეგობრებს, ხალხს პატიოსანს. .

იმათთან ერთად ვითათბირებთ, რა გზას დავადგეთ,

რა გზით გავდევნოთ მჩაგვრელი და ხალხის მტარვალი;

რომ დაუბრუნოთ ჩვენს ქვეყანას თავისუფლება!

-- მშვიდობით! ვიდრე სხვაგან დავყო, შენ უპატრონე,

ოჯახს და კერას! გაჭირვებულს ეხმარებოდე.

W \

მესამე სურათი.

(ოთახი. ვალტერ ფიურსტი და არნოლდ მელხტალი შემოდინან სხვა-
დასხვა მხრიდან).

მელხტალ. ძვირფასო ვალტერ!

ვალტ. ფიურს. აქ არ მოგვისწრონ! შენ სად იყავ?

ორგვლივ გვარტყიან ჯაშუშები.

მელხტალ. უნტერვალდენში რა ამბავია?

მამიჩემისა არა იცი რა?

ველარ მოვითმენ აქ დაყოვნებას, თითქოს ტყვე ვიყო.

განა ისეთი რა დავაშავე,

რომ თავს ვიმაღავ; როგორც მკვლელი ბოროტმომქმედა?

თავხედ მოურავს ჯონხი დავკარი, თითი მოვტეხე,

როცა ჩემს თვალწინ იტაცებდა ულლიდან ხარებს!

ვალტერ. აჩქარებულხარ!

ოგი ყოფილა მოგზავნილი ჩვენი უფროსის მართველისაგან.

რა გაეწყობა?

უნდა ითმინო შორჩილებით შენ ეს ტყვეობა,

„უხდაც რომ იგი ძნელი იყოს გარდასატანად!

მელხტალ. განა შემეძლო მომეთმინა თავხედის სიტყვა.

„გლახს თუ სწადიან ხეთქოს ლუკმაო,

გუთანიც უნდა თვითონ ზიდოსო“?

გული ამემღვრა, როცა გუთნიდან ხარებს უშვებდა.

ჩემი ნიკორა ნიშასთან ერთად ჩუმად ღმუოდა,

საქონელიც კი გრძნობდა მძარცველს, რქებით უტევდა.

მაშინ კი ველარ მოვითმინე და ჯოხი დავკარ.

ვალტმარ. ჩვენ მოხუცები თავს ძლივს ვიკავებთ,

ახალგაზრდები როგორ შესძლებენ

ფიცხი გრძნობების დამორჩილებას?

მელხტალ. სადარდებელი გამხდომია ღღეს მამაჩემი!

იმას ქომაგი და მშველელი ეხლა სჭირდება.

მისი შვილი კი გამოიქცა, შორს იმყოფება,

მართველს ისედაც თვალში ჰყავდა ამოღებულნი:

რადგან იცავდა სიმართლეს და თავისუფლებას,

ეხლა მტარვალნი უარესად შეაფიწროებს,

მას კი მოსარჩლე და დამცველი არ ეყოლება.

ო, რაც არ უნდა დამემართოს, გადავალ გაღმა!

ვალტმარ. უნდა ითმინო, სანამ ცნობას არ მოგვაწვდიან!

— ფეხის ხმა მესმის — მოეფარე! იქნებ მართველის

შიკრიკი იყოს — წადი, მოფარდი! —

ამ ჟამად ურში იმყოფები. მაგრამ განსაცდელს

ვერც აქ ასცდები!

აქაურს და იქაურს მტარვალს

ხელი ხელთა აქვს გადაბმული!

მელხტალ. მაგ მაგალითით გვასწავლიან, როგორ ვე-

ბრძოლოთ!

ვალტმარ. წადი! მე თვითონ დაგიძახებ. თუ რამ საშიში

არა იქნა-რა!

(ქეხტალი გადის).

უბედურს ვერ გამოვტყუებარ,
გულში რაოდენ საზარელს ვგრძნობ — ვინ არის მანდ?
ხშირად კარის კრიალზედაც კი
უბედურების მოლოდინი მაქვს.
ყოველ კუთხეში ატუზულა ჩვენი გამცემი
და მოლაღატე.
ვინ არის მანდ?
მალე საჭიროთ შეიქნება კარებს დავალოთ
ურდო და კლიტე!

(შემოდის ვერნერ შტაუფახერ, ვალტერი განცვიფრებული უკან
იხევს).

ვის ვხედავ? ვერნერ! ნუთუ ეს შენ ხარ?
ჩემმა მშემ, ასეთს ძვირფასს სტუმარს კარგახანია
არ ვღიროსებდევარ!

კეთილი იყოს მობრძანება ჩემს-ქერქვეშ, ვერნერ!
რამ მოგიყვანა, რას ეძებ ურში?

შტაუფახერი. (ხელს გაუწვდის) ძველ დროებას! შევიცა-
რიას.

ვალტერი. შენ ეგ თან მოგაქვს! ეგ შენს გულშია!
ჰხედავ, რარიგად აღტაცებულ ვარ,
შენი დანახვით გული ნეტარებს!
როგორ ვიკითხო თქვენი მეუღლე,
სახელოვანი დიასახლისი თქვენი გერტრუდა?
განთქმულ იბერგის ქალიშვილი?
მაინრადის გზით წამოსულს მგზავს გერმანიიდან
დიდათ უქია პურმარილი შენი ოჯახის.
ამჟამად ალბად მობრძანდებით ფლუელეთიდან

და არათფერი შეგინიშნავს?

შბაუშახმარ. ვნახე იქ ციხე.

და ჩემი გული ბოლმით აავსო.

ვალტმარ. ო! მეგობარო! მიხვედრილი ხარ მტარვალის ზრახვას?

შბაუშახმარ. ასეთი რამე ურში ჯერედ არა ნახულა.

ჩვენში არ ახსოვს საპყრობილე კაცის გონებას.

ჩვენთვის დახშული ბინა იყო მხოლოდ საფლავი.

ვალტმარ. ის ციხე სწორედ საფლავია თავისუფლების!
ასეც უხმობენ.

შბაუშახმარ. ვალტერ ფიურსტი!

ქ არ მოვსულვარ რამე ცნობის მოყვარეობით,

ზრუნვა მაწუხებს და ფიქრები!

ჩვენში დავტოვე შევიწროება

და აქაც ვხედავ უფრო უარესს შევიწროებას.

როდემდის უნდა ვითმინოთ ეს ძალმომრეობა?

არც ბოლო უჩანს ხალხის ჩაგვრას... და დამცირებას!

შვეიცარია ძველთაგან იყო თავისუფალი.

და ჩვენი ხალხი შეეჩვია მუდმივ სილალეს.

კეთილ მოპყრობას:

რაც ხან მწყემსები მთის კალთებზე ცხვარს აძოვებენ

ასეთი რამე ჩვენს ქვეყანას ჯერ არ უნახავს.

ვალტმარ. მართალია, ჯერ არ უნახავს,

თვით კეთილ მოხუცს ატენჰაუზენს,

მნახველს და შემსწრეს ძველი დროების,

ღვით იმასაც კი არ უნახავს ჩაგვრა ამგვარი!

შბაუშახმარ. უნტერვალდენში სისხლის მღვრელი ამბე-
ბი ხდება;

მთავარმართებელ ვოლფენშისენს მოუნდომნია

ზაუმგარტენის სათნო ცოლის ნამუსის ახდა

როდ მით ეგემა აკრძალული ხაყოფის გემო,
ჰაგრამ ქმარს მისთვის გაუპია შუაზე თავი.

პალტმარ. ო, ღმერთის ჯილდო სამართლიანი!
მერე თვითონ ბაუგარტენი?

ვერ მიიმალა? ვერ გადარჩა?

შტაუფახსმარ. ის შენმა სიძემ გადაარჩინა!
ამ ჟამად ჩემთან იმალება უშიშარ ადგილს.
მანვე მიამბო უარესი ერთი ამბავი სარენს მომხდარო
რომ ადამიანს გულს დაუჭრის, სულს შეუხუთავს!

პალტმარ. (ყურადღებით).

და რა გიამბო? გამაგებინე!

შტაუფახსმარ. მელხტალში კერნის შესავალთან, ცხოვ-
რობს ოჯახი

ჰაინრიხ ჰალდენ!

ოჯახის მამა სოფლად განთქმულა პიროვნებაა.

მის სიტყვას ხალხი ყრილობაზე დიდათ აფასებს.

პალტმარ. მას ვინ არ იცნობს! მერე? რაო? რა დაემართა?

შტაუფახსმარ. მართველი მის ვაჟს გასწყრომია მცირე
საქმისთვის.

მიუსევია მოურავი და მას გუთნიდან

ულელი ხარი აუშვია საუკეთესო

და დარჩეული! ყმაწვილს ველარ მოუთმენია.

მოურავისთვის უცემნია და მიმალულა.

პალტმარ. (აღელვებული მოუთმენლობით).

და მერე მამა? ვაჟის მამა?

შტაუფახსმარ. მამა მართველთან წარუდგენიათ.

უთქვამს: ეხლავე შენი ვაჟი აქ მომიყვავო!

თურმე მოხუცი წრფელი გულით ეფიცებოდა:

არ ვიცი შეილი! -ის და თავს სად ჰმალავსო.

მაშინ იმ მტარვალს მოუხმია თვისი ჯალათი...

ვალტმარ. (მსურს როგორმე ვაჩუქოს და მეორე ძხარეზე გადაჰყავს).

ო, დაჩუმდი... ნულარას იტყვი!

შტაუზახმარ. (ამაღლებული ხმით).

შენი შვილი თუმცა გამექცა.

მაგრამ შენ ხომ ხელთა მყევსარო!

თურმე მოხუცი წამოაქციეს

და იმ საბრალოს თვალნი დასთხარეს!

ვალტმარ. მოწყალე ზეცავ!

მელხტალ. (შემოვარდება) თვალნი დასთხარეს?

ასე არა სთქვით?

შტაუზახმარ. (განცვიფრებული).

ოგ ახალგაზრდა ვინ არის, ვალტერ!

მელხტალ. (ხელს ჰკიდებს და აღეღვებულნი ანჯღრევს).

ოქცენ სთქვით თვალეზი დასთხარესო?

ვალტმარ. ოჰ, საბრალოვ!

შტაუზახმარ. ვინ არის, მითხარ!

(ვალტერი ჩუმად ანიშნებს).

მისი ვაჟია? ღმერთო ჩემო!

მელხტალ. მე უნდა ამ დროს შორს ვიყო

და მამას ვერ ვარგო.

ორივე თვალი მას დასთხარეს?

ვალტმარ. გამხნევი. შვილო! აიტანე, როგორც ვაჟ-
კაცმა!

მელხტალ. ჩემი შეცდომით მოხუც მამას თვალნი დას-
თხარეს;

დანაშაული მე მიმიძღვის...

მაშ იგი-ბრმაა? ნამდვილად ბრმა? მთლად უსინათლო?

შტაუზახმარ. დიახ. ბრმა არის!

სინათლის წყარო დაძრეტილი აქვს,

ველარაოდეს იხილავს სხივებს.

ვალტმარ. გებრალეზოდეს.

მელხტალ. ველარაოდეს იხილავს სხივებს!

(თვალეზზე ხელებს აიფარებს და მცირე ხანს სდუმს. შემდეგ ხან-ერთს, ხან მეორეს მიმართავს აკრემლებული).

ო, თვალის სხივები! ეს ხომ ზეცის საუნჯე არის —
ყოველი არსი სხივით სცოცხლობს, მისით სულდგმულობს.

თვით მცენარეც კი პირს აბრუნებს ნათელ სხივისკენ.

ის კი საბრალო უნდა იჯდეს ღამის წყვილიადში,

სამარადისოდ უსინათლო, — ველარ იხილავს:

ველს ამწვანებულს, ყვავილებით ქრელად მოქარგულს!

ველარ იხილავს წითელ ცისკარს, დილის განთიადს!

სიკვდილი მასთან შედარებით არაფერია!

— კაცმა იცოცხლოს, ვერ კი ჰხედავდეს!

უბედურება ამაზე მეტი?

რად მიმზერთ ასე დამწუხრებულნი?

ორი თვალი მაქვს ახალგაზრდას და არ კი ძალმიძს.

ერთი მათგანი უსინათლო მამას გადავსცე...

შტაუშახმარ. ვაგლახ, ეგ ტანჯვა გავალრმაო, ვარ აძუ-
ლებულ!

იმის ნაცვლად რომ მწუხარება შეგიმსუბუქო.

მამაშენს რაც კი რამ ებადა, სულ ჩამოართვეს.

ალარაფერი დაუტოვეს, ყავარჯნის გარდა,

რომ ეზოებში სამათხოვროდ იხეტიალოს.

მელხტალ. ალარაფერი, ყავარჯნის გარდა,

უსინათლო მოხუცს ქალარას!

მას ყველაფერი ჩამოართვეს, თვით მზის სინათლაც.

საერთო მაღლი ყველასათვის!

ებლა რომელმა მირჩიოს-ღა მე აქ დარჩენა
დასამალავად?

ო, რაოდენათ უღირსი ვარ, ცდომილი შვილი,
ვეფაქრობდი მხოლოდ ჩემს საკუთარ უზრუნველყოფას
და უბედური მოხუცი კი მტერს დავუტოვე
ნაცვალ საწინდრად, მაგიერ მძევლად! მორჩა, მივდივარ!
ძურის ძიება მასულდგმულებს, სხვა არაფერი!
უნდა წავიდე! ვერ შემაჩერებს თქვენგან ვერც ერთი.
უნდა მოვსთხოვო, დამიბრუნოს მამის თვალები,
მე მას მოვძებნი: სადაც არ უნდა იმყოფებოდეს,
აღარაფერი დამრჩენია, გულის ტკივილი
უნდა ჩავახრჩო იმ საზიზღარ მტარვალის სისხლში.

(წასვლას აპირებს)

მალღმრ. შესდეგ არნოლდ!

რა შეგიძლიან მტრის წინააღმდეგ?
იგი სარენის ციხე-კოშკში გამაგრებულია
და სიცილადაც არ ეყოფა შენი უმწეო
წყრომა და რისხვა.

მელხტალ. თუნდაც იცხოვროს უინულიან მალღმრ.
მწვერვალზე.

ან უფრო მალღმრ, სად მუდმივი თეთრი ზეწარი
არ მოუბნნია იუნგფრაუს, — ო, გზას გავარღვევ.
ოცი გულადი ახალგაზრდა მყავს თანამგრძნობი.
და ჩვენ დავანგრევთ მის სიმარგეს, მიუვალ ციხეს.
და თუ არაფერ გამომყვება, და თუ თქვენ ყველას
შეგეშინდებათ. თქვენი სახლის, ქონების გამო,
მონობის უღელს არჩევთ. ვიდრე თავისუფლებას,
მაშინ იმ მთებში შემოვკრიფავ გაბედულ მწყემსებს.
იქ. შოის კალთებზე. ზეცის ქვეშე აზრი სუფთაა.

გული ჯანმრთელი, მათ ვუამბობ საზარელ ამბავს..:

შტაუფახშირ. (ვალტერს). ფიალა თუმცა სავსე არის.

მაგრამ ველოდეთ უკიდურესს —

მელხტალ. უკიდურესი სხვა რაღაა თვალის დათხრახე?

ჩვენ ხომ იგივე ბედი მოგველის!

ვართ უმწეონი?

მაშ რათ ვისწავლეთ შვილდის სროლა, ნაჯახით ქნევა?

განა თვითეულ უენოსაც კი

მიტომ არ დაჰყვა თან იარაღი,

რომ გაჭირვების დროს მოიხმაროს?

ირემი რქებით იგერიებს მისეულ ძაღლებს.

დევნილი ჯიხვი კლდეზე ხტება და ნაპრალებზე.

ნაასი ხარი, ეს პირუტყვი და კაცის მონა,

ისიც კი, როცა შეწუხდება მეტის ჯავრისგან,

ამტვრევს თვის უღელს.

და მძლავრი რქებით ცაში ისვრის სასტიკ დამჩაგვრელს.

ვალტერ. ეს სამი მხარე ისე ფიქრობდეს,

როგორც ჩვენ ვფიქრობთ ამ ჟამად სამნი,

მაშინ ეგების შევძლებდით რამეს.

შტაუფახშირ. თუ ური უხმობს; თუ დაიწყებს უნტერ-
ვალდენი.

შვიცი მათ კავშირს არ უმტყუნებს და გამოჰყვება,

მელხტალ. უნტერვალდენში ძრავალი მყავს ძმად-გა-
ნაფიცი.

მტერთან ბრძოლაში თავს დასდებენ და სისხლს დაღვრიან.

თუ კი მეზობელ სოფლებიდან მხარს დაუჭერენ!

პატივცემულნო, ჩვენი ქვეყნის, ბრძენნო მრჩეველნო!

თქვენ შორის მე ვარ ახალგაზრდა, მე უნდა ვაღუმდე,

როცა თქვენ მსჯელობთ საერთოს და საქვეყნო საქმეს,

მე ხმა არც კი ამომეღება, რადგან არა მაქვს

თქვენოდენი გამოცდილება,
მაინც გთხოვთ, რჩევა მომისმინოთ და მოსაზრება!
მალაპარაკებს არა სისხლი ახალგაზდური,
და არც ტკივილი,
რაც ქვებსაც მოარბილებდა,
თქვენ თვით მამა ხარო და მშობელი, კერის უფროსი.
თქვენ გინდათ შვილი, თქვენს ჭალარას ესარჩლებოდეს.
ვიცავდეთ: როცა თვალებს გთხრიან, ფეხქვეშ გთელავენ.
ო, თუ ჯერ კიდევ უცხოთა და მოთრეულ მტარვალს
თქვენი სასლკარი, ქონება არ დაუბრუნებია,
არც დაუბრუნებიათ თქვენთვის თვალნი — ჩვენც გადმოგვ-
ხედეთ

და ნუ დასტოვებთ ჩვენს წამებას უყურადღებოთ.
ერთხელაც არის მტრის ლახვარი თქვენზეც იელვებს!
ჩვენი ქვეყნიდან ავსტრიელთა განდევნა თქვენც გასურთ.
იბრძვით, ეს ხალხი და ქვეყანა ანთავსუფლოთ
და ხომ ეს არის მამიჩემის დანაშაულიც?
მაშ თქვენც ყოფილხართ განსაცდელში მამაჩემივით!
არც თქვენ აგცდებათ მისი ხვედრი ესდენ სასტიკი.
შტაუშახმარ. (ვალტერს).

თქვენ გადასჭერით და მე უკან აღარ დავიხევ!
ვალტმარ. თქვენ მეგობრები შვიცში შეკრიბეთ, ურში მე
შეეკრებ.

ძაგრამ, აი. უნტერვალდენში ვინ გავგზავნოთ?

მელხტალ. იქ მე გამგზავნეთ! მე ყველას ვიცნობ!

ვალტმარ. თანახმა არ ვარ!

შენა ხარ ჩემი სტუმარი და აქ თავს აფარებ!

მელხტალ. მომეცი ნება!

იქ გზა ყოველი და ბილიკი მე კარგად ვიცი.
მყვანან აგრეთვე მეგობრებიც. შემითარებენ

და არც გამცემენ.

შტაუფახშირ. მოდი გავგზავნოთ, სახიფათო არა ელის-რა! ხალხს ისე რიგად ეზიზლება ქვეყნის მტარვალი, რომ მცხოვრებთ შორის ჯაშუში ვერ გამოუნახავს, იქვე გავგზავნით ჩვენს ალცერელს, ხალხს შეაგროვებს. მცხოვრებთ დარაზმავს.

მელბათალ. ცნობას ერთმანეთს როგორ ვაწვდიდეთ? საქმე საქმეზე მოვიყვანოთ და არც შეგვნიშნონ?

შტაუფახშირ. ჩვენ შეგვიძლიან ან ტრაიბთან და ან ბრენენტან.

სადაც სავაჭრო ხომალდების ნავთსადგურია. იქ შევხდეთ ხოლმე.

ნალტშირ. არ შეიძლება ასე საჩინოთ. ისმინეთ ჩემი მოსაზრება!

ტბის მარცხნივ, გზა რომ ბრუნენტან უხვევს, მიტენშტაინის პირდაპირ და იქვე გადაღმია. იქ შუა ტყეში დაფარული ნაკაფი არის, მწყემსებიც ნაკაფს ეძახიან.... (მელბათალს) მოკლე გზა არის და საზღვრაბიც იქ ერთდებოან. (შტაუფახს).

შვიციდან უნდა იქ მოსცუროდუ მსუბუქი ნაკიო. მუადამოსას ჩვენც იქ მოვალთ ფარული გზებით. იქ ვილაობიროთ.

აი-ათი კაცი შეუძლიან თვითაეულს ჩვენგანს იქ მოიყვანოს! უნდა იცვენენ სანდო ერთგულნი. ოთხად ვიმსჯელებთ ავსწონ-დავსწონიო. და ღმერთიც ჩვენი შენწე იქნება.

შტაუფახშირ. ავრე სჯობია!

ბონეტოთ ორთაე თქვენი მარჯვენი და როგორც ეალა სამი ვაჟკაცი

აერთებს ხელებს,
ეგრევე შეერთდეს სამი კუთხე ჩვენი ქვეყნისა,
იბრძოლოს ხალხის საკეთილდღეოდ
უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!

საშენი. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!

მეორე მოქმედება

პირველი სურათი.

ალტორფის მოედანი.

(მალღობზე ციხე სიმაგრეს აშენებენ და შენობა თითქმის დასრულებულია. ხარაჩოები და კიბეები ჯერ არ აუხსნიათ მუშები ადიან და ჩაშოდნიან. მალა სდგას შენობის გადამხურავეი. ყველანი მოძრაობენ და მუშაობენ. მეთვალყურე ზემდევი, კალატოზი. მუშები და სხ.)

ზემღები. (ჯოხით ხელში მუშებს ერეკება).

აბა, ნუ ცდებით! მარდათ, მარდათ! ქმარა ცუდლუტტი!

მოზიდეთ ქვები. მიაწოდეთ კირი და ქვიშა.

როცა მართველი მობრძანდება,

მზად უნდა დახვდეს აშენებული.

ეე, როგორ დაზოწიალებთ!

შე ლოკოკინავ. მარდათ! ფენი უკან ნუ გრჩება!

(ორი ტვირთის მზიდველს).

ეს ტვირთი არის? აბა, რას ჰკავს. გააათკეცე...

დროს ნუ იპარავთ. ზარმაცებო. თქვე ცუდლუტებო!

პირველი მხტაბი. რა დღეთს წყრომაა, თავის აგდება!

გვაზიდვინებენ კირსა და ქვიშას
და საპყრობილეს ვაშენებთ ჩვენთვის.

ჯამღვბი. მანდ რას ბუტბუტებთ? რა საძაგელი ხალხი
ყოფილა!

იციან მხოლოდ ფურის მოწველა
და მთებში ზანტად ხეტიალი!

მოსუცი. (მოქანცული ისვენებს) მეტს ველარ შევძლებ!

ჯამღვბი. (შეანძრევს) ადექ ბებერო! ჰა იმუშავე!

პირველი ოსტატი. შებრალება ნუთუ არა გაქვთ.

ძლივს დაათრევს ფეხებს საბრალო,
მაინც გამოგყავთ ბეგარაზე და ამუშავებთ
მძიმე საქმეში?

კალათოზი და სხვა ოსტატი. ეღმერთობაა, უღმერთობა!

ჯამღვბი. თქვენს თავს სჩიოდეთ! თქვენთვის ზრუნ-
ნადეთ!

მე მას ვასრულებ, რასაც მავალებს თანამდებობა.

პირველი ოსტატი. ზემდეგო!

ამ აშენებულ ციხის სახელი რა უნდა იყოს?

ჯამღვბი. ურის მუხრუჭი!

და ეს უღელი წელში მოგხრით, დაგიმორჩილებთ!

ოსტატები. ურის მუხრუჭი? (იცინიან).

ჯამღვბი. აბა, რა, ნახეთ სასაცილო?

კალათოზები. თქვენ ამ პაწია ქოხით გინდათ დაამო-
ნავოთ

ურის მცხოვრებნი?

პირველი ოსტატი. ვნახოთ, ამნაირს რამდენ სოროს აქ
ააშენებთ.

რომ შეედაროს ურის ერთს მთას, თუნდაც სულ მცირეს.

(ზემდეგი გაივლის სიღრმეში).

კალატოზი. ამ ჩემს ქაფჩას ტბაში გადვისკრი.
რადგან მშველოდა საპყრობილეს აშენებაში.

(ტელ და შტაუფახერ შემოდიან).

შტაუფახერ. ო. მომკვდარიყავ. არ კი მენახა
ეს სანახავი!

ბმლ. აქ არ მომწონს! წამო, გავშორდეთ!

შტაუფახერ. ნუ თუ ურში ვარ?

თავისუფლების ქვეყანაში?

კალატოზი. ძმობილო ჩემო!

ნეტა განახვა შენობის ქვეშ ბნელი სარდაფი!

ვინც იქ მოჰყვება. მამლის ყივილს ველარ გაიგებს!

შტაუფახერ. ო. ზეციერო!

კალატოზი. ერთი ამ თალებს არა ნახავთ? ისე ვაშენებთ.
თითქოს მუდმივით უნდა იდგეს. აღარ დაინგრეს!

ბმლ. რასაც კი ხელი ააშენებს, ხელივ დაანგრევს.

(მთაზე უთითებს)

შენობა ჩვენი თავისუფლების
თვით ზეციერმა დაასაძირკვლა.

(ისმის დაფის ხმა. შემოდის ხალხი. შემოაქვთ ჯოხზე ჩამოცმული
ქუდი. წინ გზირი მოუძღვით. ქალები და ბავშვები ერთმანეთს ეცი-
ლებიან).

პირველი ოსტატი. რას ნიშნავს დაფი? რა ამბავია?

კალატოზი. ეს რა ზეიმი გაუმართავთ. ქუდი რაღაა?

გზირი. მეფის სახელით ვაცხადებ! ჩუმად! ისმინოს
ყველამ!

ოსტატები. მოიცათ! ჩუმად!

გზირი. ურის მცხოვრებნო! ამ ქუდს ხომ ხედავთ?

მას ჩამოვკიდებ თვალსაჩინოთ მაღალ ადგილზე.

ასეთი არის სურვილი და ნება მართველის:
ქუდს ისე უნდა პატივი სცეთ, როგორც თვით ბატონს!
ყოველმა უნდა მოუდრიკოს მუხლი წინაშე
და სცეს თაყვანი თავშიშველმა!
ამით ჰსურს მეფეს მორჩილება თქვენი გაიგოს.
ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს,
ის პასუხს აგებს ქონებით და თავის სიცოცხლით.
(ხალხი ხმამაღლა იცინის დაფი უკრავს. გადიან).

პირველი ოსტატი. ეს რა ახალი უცნაურობა მოუგონია
მთავარმართებელს?
როგორ? ქუდს უნდა თაყვანი ვსცეთ? სად გაგონილა?
ერთი მითხარით, სად გაგონილა?

ქალბატონი. ქუდს უნდა მუხლი მოუყაროთ?
ხალხს პატიოსანს მასხარად იგდებს!

პირველი ოსტატი. ეს რომ სამეფო გვირგვინი იყოს.
კიდევ ჰო,

მაგრამ....

ეს ქუდი ხომ ავსტრიულია!
მინახავს იგი ტახტის გვერდით დაკიდებულს.
სად საბოძვარი გაცემულა ქვეშევრდომთათვის.

ქალბატონი. ავსტრიულია!
იცოდეთ, ხალხო. მახეს გვიგებენ!
რომ შარი მოგვდონ!..

ოსტატები. პატიოსანი კაცი ამას არ იკადრებდა.

ქალბატონი. წამო. წავიდეთ! რჩევა ვკითხოთ ჩვენს
ძმებს

მეზობლებს. (გადიან).

ბელ. (შტაუფახერს) ეხლა შენ იცი რა რჩევას მისცემ.
მშვიდობით ვერნერ!

შტაუფახერი. საით ტელ? საით მიეჩქარები?

ბელ. უნდა წავიდე, სახლში მელიან! მშვიდობით იყავ!

შტაუფახერი. გული სავსე მაქვს სალაპარაკოთ!

ბელ. გულს დამძიმებულს ლაპარაკი ვერ მოაბრუნებს.

შტაუფახერი. სიტყვებს ხომ ძალუძს დიდი საქმე გამოი-
წვიოს.

ბელ. ამჟამად ჩემთვის საქმე არის მხოლოდ დუმილი
და მოთმინება.

შტაუფახერი. მოუთმენელს როგორ მოითმენ?

ბელ. ფიცხი მართველი ვერ უძღვება საქმეს ბოლომდე!
როცა გრიგალი უფსკრულიდან ამოვარდება,

უმაღლესს ვაჭრობთ.

ხომალდს ვაჩერებთ მყუდრო ადგილს ნავთსაყუდარში,

გრიგალი დაჭირის არე-მარეს. ვით ავი სული.

და ზიანი კი ველარ მოაქვს თავის სიმძლავრით...

ყველა ჩვენგანი მყუდროდ დარჩეს თავის ბინაზე.

მშვიდი მცხოვრები უფრო ადრე ჰპოვებს სიმშვიდეს.

შტაუფახერი. ასე გგონია?

ბელ. თუ არას ერჩი შხამიან გველს.

იგი არც გიკბენს!

და ბოლოს თვითვე ჩვენი მტრები დამშვიდდებიან.

როცა ნახვევნი დაწყნარებულს ამ ჩვენს ქვეყანას!

შტაუფახერი. რას არ შევძლებდით, ორივეს ერთად რომ
გვემოქმედნა!

ბელ. როცა მარტო ხარ. გადაარჩენ შენს თავს ადვი-
ლად!

შტაუფახერი. საერთო საქმეს ნუთუ ასე ცივად ეპყრობი?

ბელ. თვითეულს ჰქონდეს საკუთარი თავის იმედი.

შტაუფახერი. შეკავშირებით თვით სუსტიც კი ძლიერი
არის!

ბელ. მძლავრი კი უფრო ძლიერია, როცა მარტოა!

შტაუფახშირ. არ უნდა ჰქონდეს მაშ ქვეყანას შენი იმედი?

შენი იმედი მაშ ჩაგრულ ერს არ უნდა ჰქონდეს?

როცა აიხსამს ის იარაღს მტრის დასამხობად?

ბელ. მე ვიხსნი ხოლმე სალკლდეებში დაკარგულ ბატკანს,

და ნუთუ ჩემს ძმებს არ ვუშველი გაკირვების დროს?

მე თათბირის თავი არა მაქვს,

რაც გასურდეთ, ქმენით,

არ შემიძლიან ვიმსჯელო და დიდხანს ვარჩიო

და თუ დაგჭირდეთ გარდაუვალ რამე საქმისთვის-

მოიხმეთ მაშინ ვილჰელმ ტელი, არ გილალატებთ,

თქვენთან იქნება!

ეხლა შენ იცი, რა რჩევას მისცემ ჩვენ გლეხკაცობას.

(აქეთ იქით გადიან, შენობასთან ხალხი აირევ-დაირევა).

მშვიდობით ვერნერ!

შტაუფახშირ. საით ტელ? საით მიეჩქარები?

ბელ. უნდა წავიდე, სახლში მელიან! მშვიდობით იყავ!

კალატოზი. რა მოხდა რა ამბავია?

პირველი ოსტატი. სახურავიდან ჩამოვარდა!

ხემაღი. დაიმსხვრა? ჩქარა! აჰათ ოქრო!

იქნებ ეშველოს, აჰათ ოქრო!

კალატოზი. ეგ თქვენი ოქრო! ყველაფერს რომ ოქროს უწონით.

ბავშებს რომ მამა გამოჰგლიჯეთ, ცოლს თვისი ქმარი,

ქვეყნას ტანჯვა და წამება დაუსადგურეთ,

გგონიათ ოქრო, ეგ ლითონი, რამეს უშველის?

თქვენს აქ მოსვლამდე ბედნიერ ხალხს ცხოვრობდა,
თქვენს მოსვლას მოჰყვა ტანჯვა და ცრემლი!
წადით, მოგეშორდით!

გეორგი სურათი.

ვილჰელმ ტელის ეზო.


(ვილჰელმ ტელი ნაჯახით ხელსაქმობს, მისი მეუღლე ჰედვიგ საო-
ჯახო საქმეს აკეთებს, მათი ბავშვები ვალტერ და ვილჰელმ სიღრმე-
ში სათამაშო შეილდისრით თამაშობენ).

ვალტერ. (მღერის).

მე მინახავს შეილდი
მონარიდის ხელში;
დილით ადრე მიდის
სანავარდოთ მთებში!
თუ მწვერვალზე ერთი
არწივია ძკვეთრი,
იმას მთა და ბარში
მონადირე ჰმეტობს;
ტოლი არ ჰყავს მსგავსი. —
მბრძანებელი მეფობს!
ისარს აწვდენს ნაპირს,
ვერვინ ეურჩება;
არ გააცდენს ნადირს,
მას ნადავლი რჩება!
ახ! მამი! დახე, ლარი გამიწყდა!
გეთაყვა მამა, კიდევ ამიბი!

ბელ. მე ვერ აგებამ! მარჯვე მსროლელმა
თავის თავს უნდა თვითვე უშველოს!

(ბავშვები გაეცლებიან).



ჰედვიგ. ბავშვებმა ისრით ვარჯიშობა აღრე დაიწყეს!

ბელ. რა ხელობასაც უნდა დაადგენს,

სჯობია აღრე ივარჯიშონ!

ჰედვიგ. ბრძანოს უფალმა. ვერ ისწავლონ ბავშვებმა
სროლა!

ბელ. უნდა იცოდნენ! ყველაფერი უნდა ისწავლონ!

ვისაც სწადიან შეებრძოლოს დუხჭირს ცხოვრებას.

გამარჯვებული გამოვიდეს. — ის უნდა ეწრთოს.

ისწავლოს ბრძოლა, ვაჟკაცობა და დამარცხება!

ჰედვიგ. ახ, ეგ მშვიდობას ვერ მოუტანს მშრომელის
ოჯახს!

ბელ. ადამიანო, განა მე კი ვპოვებ სიმშვიდეს?

ბუნებამ მწყემსად არ დამბადა! — მე სულ სხვა მწადის.

მაქვს მოწოდება დაუცხრომლად. დიდ მიზანს ვსდიო!

მაშინ ვარ მხოლოდ კმაყოფილი, როცა ყოველ დღე

სულ ახალ ბრძოლას წავაწყდები. მასზე ვიმარჯვებ.

ჰედვიგ. ამ დროს არ ფიქრობ შენი ცოლის ღელვას და
წუხილს.

რომ მოლოდინით აღარა ვარ... გულის კანკალით

მომისმენია მოთხრობილი მწყემსებისაგან

შენი ამბავი, სახიფათო გარდასავალი.

ნიადაგ გული დამწყვეტია განშორებისას

მარტო იმ ფიქრით, ვაი თუ კვლავ ველარ დაბრუნდე.

წარმომიდგება, ვითომც ველურს მთაკლდეღრეებში

გზა აგრეოდეს, ვითომც ფეხი აგცურებოდეს

და მაღალ კლდიდან ღრმა უფსკრულში იჩეხებოდე.

მინახავს. თითქოს გიტყუებდეს ჯიხვი კლდისაკენ,
თითქოს ქარბუქი დაგორებულს გაყრიდეს ზეავებს.
ან და ყინული ჩაგტეხოდეს. ილუპებოდე.

ილუპებოდე. და ცოცხალი იმარხებოდე....

განა არ ელის მონადირეს ასეთი ბედი?

განა არ არის სავალალო იგი ხელობა;

რაიც კაცს აგდებს განსაცდელში, სიკვდილს უმზადებს?

ბელ. ვინც გონიერულად მოიქცევა და აქვს გაბედვაც
ის გადალახავს დაბრკოლებას, ყოველ გასაქირს!

მთა როდის უმტრობს, ვინც ამ მთაში დაბადებულა!

(მუშაობას ათავებს; ცულს გადადებს).

ეხლა კი ვგონებ კარის დირე მქიდროთ გაკეთდა!

უამს დააბერებს!

თუ მაქვს ნაჯახი, უდურგლოთაც იოლად წავალ!

(ქუდს აიღებს).

ჰედვიგ. სად ემზადები?

ბელ. ჩემს სიმაგრთან. ალტორფში მივალ!

ჰედვიგ. საშინელ საქმეს ხომ არ იზრახავ? სთქვი! გა-
მოტყდი!

ბელ. რა აზრი მოგდის, ჩემო მეუღლე!

ჰედვიგ. იქ შეთქმულებას აპირებენ. შენც გინდა
მათთან?

ბელ. თუ კი მომიხმობს ჩემი ხალხი, ჩემი ქვეყანა,
მე რად დავიხვე?

ჰედვიგ. შენ მოგანდობენ მძიმე საქმეს! იქ გაგზავნიან,
სად მეტი არის განსაცდელი!

ბელ. ყოველმა უნდა გააკეთოს. რის ღონეც შესწევს!

ჰედვიგ. ბაუმგარტენიც შენ დაიხსენ მძაფრი ლელვის
დროს.

როცა მღევარი თახ მოსდევდა! საშინელება!..

რატომ ოჯახზე 'მენს შვილებზე არა ჰფიქრობდი?

თმლ. ჰედვიგ, მეუღლეც, საყვარელო!

იმ დროს სწორედ თქვენზე ვფიქრობდი!

და სწორედ მიტომ შვილებს მამა გადაურჩინე!

ჰედვიგ. ისეთს ლელვის დროს! ეს ხომ ღმერთის გამო-
წვევაა!

თმლ. ხან ბევრი ფიქრიც საქმეს წაახდენს!

ჰედვიგ. შენ კეთილი ხარ, გინდა ყველას ზედ გადაეგო.

ყველას უშველო, მაგრამ თუ შენ გაგიჭირდება,

ყველა დაგტოვებს, ხელს არავინ შემოგაშველებს!

თმლ. მაგ დღიდან მიხსნას ჩემმა გამჩენმა.

რომ მჭირდებოდეს მე სხვათა შველა!

(შვილდს და ისრებს იღებს).

ჰედვიგ. რად გინდა შვილდი? ეგ აქ დასტოვე!

თმლ. უიარალოთ თავსა ვგრძნობ, თითქოს დაქრილი
მქონდეს ორივე ხელი.

ვალტმრ. მამი. სად მიხვალ?

თმლ. შვილო. ალტორფში? ბაბუასთან! გინდა? წა-
გიყვან!

ვალტმრ. ძალიან მინდა! წამიყვა მამი!

ჰედვიგ. იქებლა მეფის მართველია! დარჩი, ნუ მიხვალ!

თმლ. დღეს იგი წავა.

ჰედვიგ. სწორედ ამიტომ შეიცადე. გზაში არ შეგხვ-
დეს.

ხომ იცი. შენზე მწყურალად არის, ის შენზე ბრაზობს.

თმლ. მისი სიბრაზე ვერას მავნებს, სიმართლით
ვცხოვრობ.

მტერი მართალ კაცს რას დააკლებს?

ჰელვიზი. სწორეთ იმიტომ ეზიზღები. სიმართლით
სცხოვრობ!

ბელ. მართალ კაცს იგი შარს ვერ მოსდებს.
ვერც მიზეზს ჰპოვებს.

თუ რაინდია, არც იკადრებს! — მე ასე ვგონებ!

ჰელვიზი. რატომ გგონია?

ბელ. გეტყვი! არ არის დიდი ხანი, რაცხან შეხენის
პიდამოებში ვნადირობდი, ერთ ყრუ ადგილას!
იქ ახლო-მახლო არვინ იყო. სულ მარტო ვიყავ.
ბილიკი უნდა გამეარა. მალლა მთებია,
ძირს კი უფსკრული, იქ შეხენი მორბის შხუილით!

(ბავშვები ირგვლივ შემოეხვევიან და დიდის ცნობისმოყვარეობით მა-
მას ყურს უგდებენ).

უცბად მართველი შემეჩეხა და სახტად დარჩა.
ასე პირდაპირ ჩვენ ერთმანეთს დიდხანს ვუმზერდით.
ხოლო ჩვენს დაბლა ღრმა უფსკრულსა დაელო პირი!
მიცნო და შეერთა, ვგონებ იმ ღროს მას გაახსენდა
ჩემდამი წყენა, მხედავს ხელში იარაღი მაქვს...
აქეთ კლდე არის, იქით წყალი! — კაცი არც ერთი!
უფრო გაფითრდა და მუხლებიც აუკანკალდა.
მცირე ხანიც რომ დამეცადა, უთუოდ თვითვე
იმ ღრმა უფსკრულში ჩავარდებოდა.

— მე შემებრალა, მიველ ახლოს თავაზიანათ
და მოვახსენე: ეს ხომ მე ვარ, ბატონო-მეთქი!
იმან ხმაც ველარ ამოიღო, სიტყვა ვერ დასძრა.
მხოლოდ მანიშნა წავსულიყავ! ავდექ: მოვშორდი.
და იმის მხლებლებს დავუძახე, მიშველებოდნენ.

ჰელვიზი. აი, მაგიტომ უნდა ერიდო! შენ წინ ის შეკრთა?

კაი შენ ეხლა! მაგ შერცხვენას არც გაპატიებს!

ბელ. რომ არ შევხვდები, ის ხომ ძებნას მე არ და-
მიწყებს?

ველვიზ. მის გეზს ერიდე!

ჩემო ტელ! ისევე სანადიროდ წადი შორს სადმე.

ბელ. რა მოგდის, ქალო? რაზედ შიშობ?

ველვიზ. გული ცუდს მიგრძნობს. მის გზას ერიდე...

ბელ. როგორ იქნება, უმიზეზოთ იტანჯებოდე?

ველვიზ. რადგან მიზეზი არ არსებობს --- ტელ, დარჩი
სახლში!

ბელ. ჩემო ძვირფასო, რომ დავპირდი, იმედი მივეც?

ველვიზ. უნდა წახვიდე? მაშ წადი... წადი... მხოლოდ
ბავში

თან ნულარ მიგყავს.

ვალტერ. არა, დედილო! მეც უნდა წაყვე. მეც ბაბუა-
სთან!

ველვიზ. ვალტი! დედაშენს სტოვებ. შეილო?

ვალტერ. დედი, ბაბუას გამოვართმევ ტკბილეულს.
ნამცხვარს...

და შენ მოგიტან... ჰო, ჰო!

(მამას მისდევს).

ვილჰელმ. დედი. მე შენთან დავრჩები, დედი! ჩემო
დედილო!

ველვიზ. (გულში ჩაიკრავს) ჩემო ბიჭიკო, დედა მხოლოდ
შენ არ დასტოვე!

(ლობესთან მიდის და დიდხანს უმზერს, მიმავალს)

•

მესამე სურათი.

მინდორი ალტორფთან.

(წინ ზეები სდვას. უკან სარზე ჩამოცმულია ქუდი. სცენის სიღრმეში უღრანი ტყე და თოვლით დაფენილი მთები. ფრისპარდ და ლოიტ-ქოლდ დარაჯად დგანან).

ფრისპარდ. ტყუილად ვსდგევართ ჩვენ აქ დარაჯად. აღარავის ჰსურს აქეთ გამოვლა, რომ სცენ თაყვანი ჭკიცს დაკიდებულს.

აქ ნოედანზე თითქმის ბაზარი ყოფილა სხვა დროს. მაგრამ რა დღიდან საფრთხობელა სარზე დაჰკიდეს. ყველა გზას უქცევს.

ლოიტქოლდ. ოხერი ვინმე თუ გამოივლის. დაგლეჯილ ქუდით იძლევა სალამს. თორემ ნამდვილი პატიოსნები ერიდებიან. მუდამ არჩევენ შორს მოუარონ.

ფრისპარდ. როცა საბჭოდან შინ ბრუნდებიან, ამ გზას ისინი ვერ უნდა ასცდნენ, ვეფქრობდი, ვისმეს დავიქერდი დანაშაულში, რადგან ისინი ჯიუტობენ; ქუდს არ იხდიან. ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო. ბრუნდებოდენ, მაგრამ ხუცესი როსელმანიც უცბად იქ გაჩნდა. საზიარებლად ყოფილიყო ის ავადმყოფთან, გაჩერდა განგებ ამ სარის წინ წმინდა ნაწილით.

მნათემაც ზარი დააწკარუნა.

და ჩვენ სუყველამ დავიჩოქეთ. თაყვანი ვეცით
არა ამ ქუდსა, არამედ წმინდა ზიარებას.

ლოიბჰოლდ. იცი, ძმობილო, ხანდახან ვფიქრობ
რომ ამ ქუდის წინ გვადარაჯებენ
როგორც დასჯილებს, ბრიყვებს, უვიცებს.

რა პატივია ჯარის კაცისთვის

ქუდს უდარაჯოს ტრიალ მინდორში?

ყოველს რიგიანს მართლაც უნდა ვეზიზღებოდეთ.

ქუდს სალამიო! ცარიელ ქუდს! სად გაგონილა?

ეს ხომ, ძმობილო, სულელური ბრძანება არის!

ფრისჰარდ. ცარიელ ქუდს რატომაც არა.

როცა ხანდახან ქედს უხრიან ცარიელ კეფას!

(პილდეგარდი, მესთილდ და ელსბედ ბავშვებით შემოდინან და სარის
ირგვლივ ჩერდებიან).

ლოიბჰოლდ. შენმა თავის მზემ. ვითომც მორჩილი შენ
კი არ იყო...

ყველას რომ გინდა გული მოუგო, ასიამოვნო.

დაე, ქუდს გვერდი ამას იქით თუნდ აუქციონ.

თვალებს დავხუჭავ, ყურადღებას აღარ მივაქცევ.

მესთილდ. ბავშვბო, ჰხედავთ ჩვენი მართველი ხეზე
ჰკილია.

ეცით თაყვანი!

მლსბეიდ. ღმერთმა ბრძანოს, მართველი მართლა მოგე-
შორდებოდეს

და მარტო ქუდი აქ დარჩებოდეს!

ამით ქვეყანას არაფერი დააკლდებოდა.

ფრისჰარდ. წადით აქედან! დაიკარგენით!
თქვე წყეულებო!

აქ თქვენი ქმრები გამოგზავნეთ. ენახავთ ვაჟაკებს.
ბრძანებას თუ არ შეასრულებენ.
(შვილდისრით ხელში შემოდის ტელ, თან ბავში მოჰყავს, ქუდს ყუ-
რადღებას არ მიაქცევს).

ვალტმარ. (მთაზე უთითებს). მამი, იმ მთაზე
მართლა ისეთი წმინდა ხეები იზრდებიან.

ცული რომ დაჰკრა,
სისხლს გადმოჰღვრიან?

ბელ. ვინ გითხრა, შვილო?

ვალტმარ. მწყემსმა მიაშობო მოხუცებულმა.

მთაში ისეთი ხეებიაო, წმინდა ხეები, მან ასე მითხრა.
ეინც არ დაზოგავს და ცულს დაჰკრავსო.

ძარჯჯენა ხელი შეახმებაო.

ბელ. მართალი უთქვამს! ის ხეები წმინდაა. შვილო!
ხედავ წვერვალებს ცამდე ასულებს?

ვალტმარ. იქ ყინული ძევს, ძალზე ჰქუხს ხოლმე.
როდესაც ზვაფი დაბლა მოგორავს.

ბელ. ჰოო შვილიკო! ის ხეები რომ არ გვეფარავდნენ.
ზვაფი, მალლიდან დაგორებული.

ჩვენს სოფელს ალტორფს მთლად წალეკავდენ.

ვალტმარ. (მოფიქრების შემდეგ) მამი, ნეტა ოუ სადმე
ქვეყანა არის ისეთი,
რომ მთა არ იყოს?

ბელ. ის მთები რომ გადავიაროთ.
თავდაღმა დავყვეთ, მივადგებით
დაფენილ მინდვრებს,
მდინარეები აღარ რბიან, არც ხმაურობენ.
იქ პურს სთესავენ. იქ ქვეყანა ბალი გგონია.
დიდი, სულ დიდი, აყვავებული.

ვალტმარ. მერე. მამილო. აქ რად ვცხოვრობთ, და არ გადავალთ

ლამაზ მხარეში? აქ ხომ მუდამ განსაცდელში ვართ?

ბელ. ნაყოფიერი არის ის მხარე და მშვენიერი.

მაგრამ ნაყოფი მშრომელს არ რჩება!

ვალტმარ. მაშ არ არიან თავისუფლები თავის მიწაზე?

ბელ. შვილო. იქ მიწა მეფეს ეკუთვნის, ან ეკლესიას.

ვალტმარ. მაშ მდინარეში თევზაობა აკრძალულია?

ბელ. იქ ფრინველია თუ ნადირი, მეფეს ეკუთვნის.

ვალტმარ. მაშ მდინარეში თევზაობა აკრძალულია?

ბელ. მდინარე, შვილო და ხმელეთი, თვით მარტილიც კი მეფეს ეკუთვნის.

ვალტმარ. ეგ ვინ ყოფილა ყველასათვის საშიში მეფე?

ბელ. ის ერთი არის, ყველა მას იცავს, გარშემო იკრეფს...

ვალტმარ. იმას იცავენ. ხალხს კი თავი ველარ დაუცავს?

ბელ. იქ მეზობელი არ ენდობა თავის მეზობელს!

ვალტმარ. იმ ვრცელ მხარეში, მამაჩემო, მე ვერ გავძლებდი:

მე მირჩევნია აქ ცხოვრება სალკლდეთა შორის.

ბელ. შვილო! სჯობია შენს მახლობლად მყინვარი იყოს.

ვიდრე ბოროტი, დამჩაგვრელი ადამიანი.

(უნდა ჩაიარონ).

ვალტმარ. მამი, შეხედე, სარზე ქუდი ჩამოუცვიათ.

ბელ. რა ყურადღებას აქცევ მაგ ქუდს? წამო. წავიდეთ!

(იმ დროს, როცა წასვლას დააპირებენ, ფრისპარდ შუბით წინ გადაელობება).

ფრისპარლ. შესდევ, გიბრძანებ მეფის სახელით!

ბელ. (შუბს ხელს სტაცებს). რა გინდათ ჩემგან?

რად მელობები?

ფრისპარლ. განკარგულება დაარღვიე!—გამომეყე უკან!

ლოიტჰოლდ. ამ ქუდს სალამი არ მიეცი!

ბელ. გამიშვი ჩემთვის, თავი მანებეთ!

ფრისპარლ. წამო, წამო საპყრობილეში.

ვალტერ. მამაჩემი საპყრობილეში! ჰეი გვიშველეთ!

სალხო გვიშველეთ! (სცენაზე ყვირის).

კეთილო ხალხო, ჩქარა გვიშველეთ!

ძალმომრეობა, ძალმომრეობა! მამა შეიპყრეს!

(ღუესი როსელმანი და მნათე ზიგრიფტ სამი კაცის თანხლებით შემოდინან).

ჰერნი. რა ამბავია?

როსელმან. რა გინდათ მისგან? ამ კაცს რად იჭერთ?

ფრისპარლ. მეფის მტერია და მოლალატე.

ბელ. (გაცხარებული ხელს სტაცებს) მე მოლალატე?

როსელმან. სცდები, ძმობილო! როგორ ვერ იცნობთ?

ეგ არის ტელი. გლეხი კაცი პატიოსანი.

ვალტერ. (დაინახავს ვალტერ ფიურსტს და წინ მიეგებება).

ბაბუ, გვიშველე! მამაჩემი დააპატიმრეს!

ფრისპარლ. მომეყე ციხეში!

ვალტ. **ფიურ.** შეჩერდით! მე ვარ მისი თავდები.

რა შეგემთხვა, ღვთის გულისათვის...

(მღელტალ და შტაუფასერ შემოდინან).

ფრისპარლ. მეფის მართველის უმაღლესი ბრძანება
დაჰკმო.

არად ჩააგდო.

შტაუფასერ. ეგ ნუთუ ტელმა ჩაიდინა?

მელხტალ. სცრუობ, შენ სცრუობ, უზრდელი ბრიყვი!

ლოიტჰოლ. ამ ქუდს სალამი არ მისცა მაგან!

ვალ. **ფიურ.** მაგიტომ მიგყავს საპყრობილეში?

ხომ გეუბნები, მეგობარო, თავდებად ვლგები:

დაეხსენ მაგ კაცს.

ფრისჰარდ. თავდებათა თვითონ გქირდება.

ჩვენ რაც გვიბრძანეს, იმას ვასრულებთ!

ჩამოგვეცალე!

მელხტალ. (გლახებს) ეს კი, ხალხო, მეტის მეტია.

ნუთუ მოვითმენთ, გამოგვტაცონ კაცი ხელიდან?

ჰერნი. ჩვენ ძალა შეგვეწევს, მეგობრებო. ნუ დავანებებთ!

მხარი მხარს მივსცეთ!

ფრისჰარდ. ვინ უმხედრდება მეფის ბრძანებას?

გლახები. დაგეხმარებით! დაჰკარით, არ გაუშვათ!

თმ. ძმებო დამშვიდდით! მე დახმარება არ მქირდება,

ჩემს თავს ვუშველი.

მე რომ მდომოდა ძალის მიტანა,

განა მათ შუბებს შეუკრთებოდი?

მელხტალ. აბა, გაბედე მაგის წაყვანა!

ვალტ. **ფიურსტ.** და **შტაუფახმარ.** გაჩერდით! დაწყნარდით!

ფრისჰარდ. (ჟვირის) ამბოხებაა, აჯანყება!

ხმები. მართველი მოდის! მართველი მოდის!

ფრისჰარდ. (ჟვირილს უმატებს) აჯანყება, ამბოხება!..

შტაუფახმარ. იყვირე, სანამ ხმა არ ჩაგწყდება. შე
სალახანავ!

როსმალმან და **მელხტალ.** არ დაჩუმდები?

ფრისჰარდ. (უფრო ჟვირის) გვიშველეთ!

გვიშველეთ!

ვალტ. ფიურ. აი, მართველიც! ვერ გადავრჩებით!
უბედურება რაზე მოხდება...

(შემოდის გესლერ დიდის ამალით და თანამხლებლებით, რომელ-
ნიც წრეს გააკეთებენ).

რუდოლფ. გზა! გზა! მთავარმართებელს!

გესლერ. რა ჩოჩქლია? რად შეგროვილხართ?
ვინ იძახოდა გვიშველეთო?

(საყოველთაო სიჩუმე).

ვინ იძახოდა, მინდა ვიყოდე!

(ფრისპარდს).

შენ ვინ ხარ? ეგ რად შეგიპყროა?

(მიმინოს მსახურს გადასცემს).

ფრისპარდ. დიდო ბატონო! ჯარისკაცი გახლავარ
ოქვენნი!

აქ დამაყენეს ქუდის დარაჯად!

აი, ეს კაცი დავიჭირე დანაშაულში.

ქუდს აუარა და ამაყმა-პატივი არ სცა.

ბრძანებისამებრ მოვინდომე მისი შეპყრობა.

მაგრამ ეს ხალხი ძალას ხმარობს, არ მანებებენ.

გესლერ. (სიჩუმის შემდეგ).

ნუთუ ურჩობას უწევს მეფეს და მეც. მის მართველს?

რომ პატივს არ სცემს, ქედს არ უხრი. ქუდს დაკიდულს.

რომელიც განგებ გამოვკიდე გამოსაცდელად?

ბმლ. მაპატიე, დიდო ბატონო!

ამ ჩემს საქციელს ნუ მიიღებთ წინაგანზრახვად.

ეს მომივიდა უნებურად. მოუფიქრებლად.

სხვაფრივ რომ იყოს. ალბად ტელს *) არც დამიძახებდენ.
ასეთი რამე შემდეგ აღარ განმეორდება.

მისლერ. (მცირე სიჩუმის შემდეგ).

ტელ. შენ გაქებენ შვილდოსნობაში!

ამბობენ. ვითომც მჯობი არ გყავდეს.

მალტმირ ტალ. მართალი უთქვამთ, ბატონო ჩემო!

მამაჩემს ისრით ას ნაბიჯზე. რო უსროლნია,

ჩამოუგდია კენწეროზე ნაბამი ვაშლი.

მისლერ. ტელ: ეგ ბავში შენი არის?

ტალ. დიახ, ბატონო!

მისლერ. კიდევ სხვაც გყავს?

ტალ. ორი ვაჟი მყავს; ბატონო ჩემო!

მისლერ. რომელი უფრო მეტათ გიყვარს?

ტალ. ორნივე თანაბრად, ბატონო ჩემო!

მისლერ. ტელ. რადგან სროლა კარგი გცოდნია,

რომ ას ნაბიჯზე ნიშანში არტყამ

და ვაშლს ძირს აგდებ. ეგ ხელოვნება უნდა მიჩვენო.

შვილდიც ხელთა გაქვს, მაშ მოემზადე

და ვაშლს ესროლე მაგ ბავშის თავზე!

თუ ვერ გაარტყი: შენს თავს დაჰკარგავ.

(ყველანი შეკრთებიან).

ტალ. ბატონო: როგორ? რა საშინელ საქმეს მავალებთ?

ჩე უნდა ჩემი ბავშის თავზე? არა, ბატონო!

თქვენი კეთილი გული ამას არ იზრახებდა...

ყოვლად მოწყალე ღმერთი გფარვიდეთ,

არა, არა! ასეთს მსხვერპლს მამას არ დაავალებთ.

მისლერ. მსურს და გავალებ!

*) ტელ-ტოლ – გადარეული.

უნდა ესროლო ვაშლს ბავშვის თავზე.

ბელ. მე ჩემი შვილდით საყვარელ ბავშვს უნდა
ვესროლო?

უმალ მე მომკალ!

ბესლერი. უნდა ესროლო, ან სიკვდილს მიგცემ შენს
ბავშვთან ერთად.

ბელ. ბატონო! შვილის მკვლელი შევიქმნე?

ნუთუ თქვენ შვილი არა გყოლიათ?

არ იცით რას გრძნობს მამის გული?

ბესლერი. ე, როგორ უცბად, ტელ. დაგვიბრძენდი!

ჩემთვის კი უთქვამთ, ტელი არის მეოცნებეო
და სხვათა სიბრძნეს, ჩვეულებას ის არ მისდევსო.

შენ გყვარებია უჩვეულო უცნაურობა
და იმიტომაც გამოვძებნე საძნელო საქმე.

სხვა მართლაც უკან დაიხევდა. შენ არ შეგფერის.

შენ უნდა საქმეს გაბედულად მოჰკიდო ხელი!

ნურვის ჰგონია მე ვხუმრობდე...

(ვაშლს სწყვეტს მახლობელ ხიდან).

აი, ეს ვაშლი!

ოთხმოც ნაბიჯზე ნებას ვაძლევ...

ის კი იკვებხის ას ნაბიჯზე ნიშანს ვარტყამო...

აბა, მაშ, ვცადოთ!

როსნელმან. ღმერთო, არ ხუმრობს.

ბავშო. დაემზე მართველის წინ და შეევედრე.

მოწყალე თვალით გადმოგხედოს და შეგიბრალოს.

ვალტ. ფიუსტ. (ჩუმად მელხტალს, რომელიც აღელვებას

ძლივს იკავებს).

ძვირფასო, თავი შეიმაგრე! ღელვა ჩაიკალ!

გმსლშრ. იქით მიდექით: — აბა ჩქარა. ნულარ აყოვნებ.
ხარ ღამნაშავე და შემედლო დასჯა სიკვდილით.
მაგრამ ხომ ხედავ: სულგრძელი ვარ და შენ სიცოცხლეს
შენსავე გამოცდილ მარჯვენას ეანდობ.

რადგან ნება გაქვს საკუთარი ბედი განაგო!
თავს რომ იქებდი კარგი სროლით, აბა გვიჩვენე.
აი, ეს ბურთი და მოედანი!

ნიშანი არის ღირსეული და ჯილდოც დიდი.
უბრალო ნიშანს ყველა არტყამს — ეგ არაფერი!
მე იმას ვაქებ, ხელოვანი მართლაც იგია,
რომელსაც გული, თვალი. ხელი არსად უმტყუნებს.
და სიმარჯვესაც ყველგან მოიხმარს.

ვალტმარ ფიშრსტ. (გესლერს უჩოქებს).

დიდო ბატონო, პატივსა ვცემთ თქვენს ბრწინვალებას.
გვექმენ მოწყალე და სულგრძელი.

ჩემი შეძლების ნახევარი მიიღეთ ჩემგან,
რის ნახევარი? მთლად ინებეთ, რაც მახადია!
ოლონდ იხსენით ბავშვის მამა სატანჯველისგან.

ვალტმარ ტმლ. ბაბუა ჩემო! მაგ სასტიკ კაცს რისთვის
უჩოქებ?

მითხარ, სად დავდგე?

ცაში მინაფრენ ჩიტს არ აცდენს ჩემი მამილო.

ეხლაც ათვის შეილს. რად გგონიათ, გულში მოარტყამს?

შბაუშახშირ. დიდო მართველო! ნუთუ ბავშვის უმან-
კოება

გულს არ მოგილობობთ?

როსელმან. გახსოვდეთ ღმერთი ჩვენი მსაჯული-
ერთხელ წარსდგები მის წინაშე და პასუხს მოგთხოვს!

გმსლშრ. (ბავშვზე უთითებს).

აგერ, იმ ცაცხვზე მიაკარით!

ვალტმარ ტმლ. მე იქ მიმაკრან? არა! შეკრული არა
მსურს ვიყო.

როგორც კრავი, წყნარად დავდგები
და არც ვისუნთქებ...

თუ მიმაკარით, სწორედ მაშინ არ მოვისვენებ.

რუდოლფ. ბავშო, თვალები აიხვიე.

ვალტმარ ტმლ. თვალები რისთვის?

თქვენა გგონიათ მამის ისარს მე შევეუშინდე?

ისე. ვიქნები, თვალსაც კი არ დავახამხამებ.

თამამად მამი! დაუმტკიცე შენი სიმარჯვე!

მაგას არ ჯერა, ბოროტს უნდა ჩვენი დალუპვა,

მაგრამ მის ჯიბრზე მესროლე და ნიშანს გაარტყი!

(მიდის ცაცხვთან თავზე ვაშლს დაადებენ).

მელხტალ. (გლახებს) როგორ, კაცებო!

ჩვენ თვალწინ ხდება ეს ბოროტება

და ჩვენ გულგრილად უნდა ვუცქიროთ?

მაშ ჩვენ ერთმანეთს რისთვის შევფიცეთ?

შტაუფახმარ. აწ დრო არ არის, უიარაღოთ ვართ.

მათ შუბებს, ჰხედავთ. ტყესავით არის.

მელხტალ. ო, რომ დაგვეწყო თავის დროზე...

ღმერთმა შეუნდოს, გადადება ვინც ჩვენ გვირჩია.

გმსლმარ. (ტელს) აბა ესროლე!

მაშ, იარაღსა სათამაშოდ ხომ არ ატარებ?

ხანდახან მსროლელს უბრუნდება თვისი ისარი.

ასეთს უფლებას, გლახები რომ თვით იჩემებენ.

ქვეყნის მართველი ვერ აიტანს და არც მოგიტმენო.

იარაღის ტარების ნება მართველს აქვს მხოლოდ

და თუ შეილდისრის თრევა ასე გეხალისება,

ძალიან კარგი. მე გიჩვენებ ნიშანში სასროლს.

ტმლ. (შვილდისარს უმიზნებს) ჩამოდექით!

შტაუფახერი. ტელ, რას ჩადი! გინდა... ნუ იზამ...
ხომ ხედავ, ხელი გიკანკალებს!...

ბელ. (ისარს დაუშვებს) თვალთ მიბნელდება.

ხმები. ღმერთო ძლიერო! ღმერთო ძლიერო!

ბელ. (მართველს) ნუ მასროლინებ! აჰა. ეს მკერდი,
(გულმკერდს გადაიგლეჯს).

უბრძანე მცველებს, შუა გააპონ!

გისლერი. მე არ მჭირდება შენი სიცოცხლე,
მინდა ესროლო!

— შენ ყველაფერი შეგიძლიან. ტელ, ყველაფერი.

უკან არ იხევ არაფერზე —

არ უშინდები საშინელ ღელვას.

და ნიჩაბს უსვამ სხვის დასახსნელად.

შენ, ყველას მხსნელმა, ეხლა შენი თავი დაიხსენ!

(ტელ თავის თავს ებრძვის, ანთებულ თვალებს ხან მართველს მიაპყრობს ხან ზეცას. უტბად მეორე ისარს ამოიღებს და უბეში ინახავს ამას მართველი შეამჩნევს).

ვალტერი ბელ. (ცაცხვიდან) მამი, მესროლე! არ მეშინიან!

ბელ. დაე ასრულდეს!

შტაუფახერი. მოხვდა!

როსმელმან. ბავში გადარჩა.

ხმები. სწორედ ვაშლს მოხვდა.

(ვალტერ ფიურსტ წაბარბაცდება. მელსტალი ხელს მიაშველებს).

გისლერი. (ზარდაცემული) მართლა მოხვდა? საზიზღარი!

მელსტალ. გამხნევედი, ვალტერ! ბავში გადარჩა!

ვალტერი ბელ. (შემოიბრუნს ვაშლით ხელში).

ვაშლი მამი! კარგად ვიცი, შვილს არ დასჭრიდი.

ტელ. (სდგას წინ გადაწყველი, თითქოს გასროლილ ისარს მის-
ჯვედეს. შეილდი ხელიდან დაუვარდება. მოახლოვებულ ბავშს რომ
დაინახავს. მისკენ გაექანება. აიყვანს და გულში ჩაიკრავს. შემდეგ
ღონემიხილი მუხლებზე დაეცემა. ამ სანახაობამ ყველა შეიპყრო).

ვალტერ, ვიურსტ. (მამას და შეილს).

შვილებო! ჩემო შვილებო!

შტაუშახსერ. იდიდოს სახელი უფლისა.

ლოიტიჰოლდ. აი. სროლაც ასეთი უნდა!

ამბათ იტყვიან შვილიშვილები.

შტაუშახსერ. სანამ ეს მთები იარსებებენ.

ტელის სახელიც ხალხს ეხსომება.

(ვაშლს მიაწვდის მართველს).

მესლერ. მართლაც. შუაში აქვს მოხვედრილი...

ასეთი სროლა ღირსია ქების.

როსემლმან. სროლა კი, დიახ. მარჯვე იყო. მაგრამ ვაი
მას,

ვინც აიძულა ღეთის გამოცდა!

შტაუშახსერ. გონს მოდი. ტელ! წამოდექ ზეზე!

დღეს შენ მოიქეც ვაჟკაცურად!!.

და შეგიძლიან თავისუფლად დაბრუნდე სახლში.

როსემლმან. მოდით! წავიდეთ! მოდით! დედას ბავში
მიჰგვარე უვნებელი!

(წასვლას აპირებენ).

მესლერ. ტელ. გამიგონე!

ტელ. (ბრუნდება).

რას მიბრძანებ. ბატონო ჩემო!

მესლერ. წელან დამალე ერთი ისარი...

დიახ, დიახ, კარგად შევნიშნე!

რისტევის გინდოდა?

თელ. (არეული) ბატონო, ჩვენი ჩვეულებაა...

მასლამი. არა! პასუხი სწორი არ არის!

შენ ალბად გულში სულ სხვას იზრახდი.

მითხარ სიმართლე, ტელ, ნუ დამალავ!

რაც უნდა იყოს, შენს სიცოცხლეს არაფერს ვავენებ!

ძითხარ, მეორე ისარი შენ რად გჭირდებოდა?

თელ. კარგი, ბატონო!

რაკი მპირდები, ჩემს სიცოცხლეს არაფერს ავენებ.

გეტყვი პირდაპირ!

(მეორე ისარს უბიდან ამოიღებს და შემზარავად უმზერს მართველს).

აი, ამ ისრით გავგმირავდი (პაუზა) თქვენს გულს.

თუ პირველ ისარს საყვარელ ბავშს მოვახვედრებდი.

მერწმუნეთ, ამას არ გავაცდენდი.

მასლამი. მომწონს, მომწონს, ტელ!

მე შენ აღვითქვი სიცოცხლე და ვასრულებ კიდევ

რაინდის სიტყვას,

და რადგან შენი ავი ზრახვა მე უკვე ვიცი,

შენი სიცოცხლის დასაცავად

ძინდა ისეთი მკვიდრი ბინა აღმოგიჩინო,

სად ვერ იხილავ ველარც მზესა და ველარც მთვარეს,

რომ ამით ვიქნე უზრუნველი შენის ისრისგან.

ჰეი დარაჯნო, შეიპყარით! შეჰკარით მაგრა!

(ტელს შეიპყრობენ).

უბაუზახარი. როგორ, ბატონო! ისეთს კაცს იქერ,

რომელზე ღმერთმა მადლი მოიღო?!

მასლამი. აბა, რომელმა გაჰბედოს და გამოესარჩლოს?

დღეს ვაწყევლინებ!

--- წაიყვათ ნავზე!

მაგას მე თვითონ მივაცილებ კიუსნახტამდე.

როსელმან. მეფეს არა აქვს ამის ნება. თქვენ მით
უმეტეს.

თქვენ ამით არღვევთ პირობას და ხელშეკრულებას...

თავისუფლების სიგელ-გუჯრებს....

მისლმარ. რის პირობა? რის სიგელები?

განა ის მეფემ დაგიმტკიცათ? არ დაგიმტკიცათ!

იგი თქვენ უნდა მოაჩილებით დაიმსახუროთ.

თქვენ კი ჯანყს აწყობთ, ეურჩებით მეფეს და მართველს.

თქვენ ყველას გიცნობთ, რაც ბრძანდებით.

ვიცნობ თქვენს ზრახვებს!

მარტო მე ამას ვაპატიმრებ. მაგრამ თქვენ ყველას

ბრალი მიგიძღვით ერთდამავ დანაშაულში!

ვინც თქვენში უფრო ქვეიანია, უნდა ისწავლოს

დამორჩილება და ქედის მოხრა!

(გადის. ამაღა მისდევს. ფისპარდი და ლოიტპოლდ რჩებიან).

ვალტმარ ფიურსტ. (გულმტკივნეულად).

მორჩა! გადასწყდა ჩემი დაღუპვა!

ის არ დამინდობს არც მე. არც შვილს და არც შვილის-
შვილს.

შტაუფახმარ. (ტილს) ო. ის მხეცი რად გააბრაზე?

ტილ. ჩემ გვარ ყოფაში გრძნობას ვერც თქვენ შეი-
მაგრებდით!

შტაუფახმარ. ეხ. ყველაფერი გაგვიცრუვდა.

ტილ. შენთან ერთად ბორკილებში ვართ!

ბლმხმანი. (გარშემო შემოეხვევიან),

ჩვენი იმედი შენ იყავ და იმასაც ვკარგავთ!

ლოიტჰოლდ. (უახლოვდება) ტელ, თანაგიგრძნობ,
მაგრამ, რა გიყო. მაიძულეებს მოვალეობა.

ბელ. შეიძობით ძმებო!

ვალტერ ბელ. (ატირებული ეხვევა).

ო. საყვარელო მამაჩემო, მამი, მამილო!

ბელ. (ცაზე უჩვენებს).

იქ არის შვილო მამაშენი, მას მოუწოდე!

შტაუფზახერ. რა უთხრა შენს ცოლს, რა ვუამბო?

ბელ. (შვილს სიყვარულით გულში ჩაიკრავს).

ბავში უვნებლად გადარჩა-თქო,

მე კი — ღმრეთი მიშველის!

(უცხად სტოვებს და გადის. უკან მცველები მისდევენ).

ვალტერ ფიუსტ. ვინ მოდის აქეთ?

ბაუზგარტენ. თქვენი ქალი. ტელის მეუღლე!

თქვენთან სურს ჰედვიგს საუბარი და შვილის ნახვა!
(ვალტერ ტელი წამოვარდება).

ვალტერ ფიუსტ. რით გავამხნევოთ? სანუგეშოს ვერა-
ფერს ვპოვებ!

უბედურება ყოველგვარი თავს მე დამატყდა!

ჰედვიგ. (შემოიქრება) სად არის ბავში. ჩემი შვილი!
მაჩვენეთ შვილი! (შვილს მივარდება).

ჩემო ვალტი! ცოცხალს გხედავ. შენ შემოგეველე!

ვალტერ ბელ. საბრალო დედავ!

ჰედვიგ. მართალი არის? უვნებელი ხარ?

(მზრუნველობით ათვალეირებს).

შენ გენაცვალოს დედაშენი...

მაშ მამაშენმა გაგიმეტა?.. გესროლა. შვილო!?!..

როგორ გაბედა! ო. მას გულში ლოდი სდებია!

შესაძლო არის, საკუთარ შვილს მამამ ესროლოს?

ვალტერ ფიშხ. ესროლა. მაგრამ განა ის არ იტან-
ჯებოდა?

იტანჯებოდა სულით, გულით. მთელი არსებით!

რომ არ ესროლნა, დაჰკარგავდენ ორნივე სიცოცხლეს.

ჰედვიგ. ო, რომ ჰქონოდა მამის გული, თავს მოი-
კლავდა.

სანამ თავის შვილს სასიკვდილოდ გაიმეტებდა.

შტაუფახერი. გამჩენს მადლობა შესწირე. რომ ეგ გა-
დაგიჩნა!

ჰედვიგ. ღმერთო, ღმერთო! თუნდ ვიცოცხლო ოთხ-
მოცი წელი.

მუდამ ვიფიქრებ. ბავწი როგორ გაჩერებულა
და მანამისი შუბლში ისარს როგორ უმიზნებს!

და ის ნასროლი ისარი მე მუდამ დამკოდავს.

მელსტალ. რძალო, არ იცით,

მართველმა რა რიგ გააბრაზა და შეურაცყო!

ჰედვიგ. ო, მამაკაცთა გულფიცხობავ!

არაფერს დასდევთ, როცა თქვენს თავმოყვარეობას
შეურაცხყოფენ! ათამაშებთ განწირულობით

სიბრაზის ცეცხლში დედის გულსა. შვილის სიცოცხლეს!

ბაუშგარტენ. განა არ კმარა მძიმე ხვედრი, რაც მას
არგუნეს,

რომ საყვედურით კვლავ ტკივილი არ დაუმძიმო?

არ თანაუგრძნობ თქვენს მეუღლეს, არც გებრალება?

ჰედვიგ. (მიუბრუნდება და დიდხანს თვალთა უმზერს).

და შენ? ცრემლილა დაგრჩენია მეგობრისათვის?

უბედურ ძმისთვის?

- თქვენ სად იყავით, მტარვალი, რომ იმას ჰბორკავდა?

რად არ უშველეთ? რატომ მას არ გამოესარჩლეთ?

სეირს უმზერდით, რომ ხმარობდენ ძალმომრეობას?
მტერს დაანებეთ მორჩილებით თქვენ მეგობარი?
განა ის ცრემლით შემოგცქეროდა, როცა მდევარი
განა ტელ ასე იქცეოდა, როს თქვენ გიჭირდათ?
გამოგიყენეს, ხოლო შენ წინ ტბა ბობოქრობდა!
შენს გაჭირვებას ის ცრემლებით არა ტიროდა!
ის ნავში ჩახტა, დაივიწყა ცოლი და შვილიც.
და შენ დაგიხსნა! თქვენ კი მისთვის რა გააკეთეთ!

ვალტარ ფიუსტ. შვილო, ჩვენ იმ დროს რას გავა-
წყობდით.

სულ ერთი მუქა ხალხი, ისიც უიარალო!

ჰედვიგ. (ფიურსტის გულზე მიეყრდნობა).

ო. მამაჩემო? შენც დაჰკარგე! ხალხმაც დაჰკარგა!
ყველას დაგვაკლდა, და ყველანი მას ჩვენ დავაკლდით!
ღმერთო არიდე სასოწარკვეთა,
ცოცხლად დამარხულს მეგობრის ხმა მას ვერ მიწვდება
ავად რომ გახდეს, სანუგეშოს ვერავინ ეტყვის;
იგი მთის შვილი. მთის ყვაილი თავისუფალი.
მთებზე ხარობდა! ის ვერ გასძლებს ნოტიო ხვრელში.
თავისუფლება მისთვის სუნთქვა, სიცოცხლე იყო, —
და ის კი ეხლა მტარვალს ტყვეთ ჰყავს საპყრობილეში.

შტაუშახმარ. .იყუჩე. ჰედვიგ!

ჩვენი ზრუნვაა დავანგრიოთ ის საპყრობილე!

ჰედვიგ. რა შეგიძლიათ უიმისოდ მოიმოქმედოთ?

იმედი იყო, სანამ თქვენთან იმყოფებოდა.

მაშინ უმანკოს დამცველი და მოსარჩლე ჰყავდა.

შევიწროვებულს ნუგეშის მცემი.

ის ერთი ყველას თქვენ გიხსნიდათ. ხოლო თქვენ ყველამ
ვერ შეიძელით ერთის დახსნა ბორკილებისგან!

მილხტალ. კმარა, გაგვიძეხ! ჩვენც გამოგყვებით.

დღეის საქმე ჩვენ ხვალისთვის რისთვის გადავდვით:
როს ერთმანეთთან ფიცი დავსდევით?
თავისუფალი იყო ტელ; მას შემდეგ მოხდა საშინელება.
ეხლა კი დროა დავაჩქაროთ ჩვენი განზრახვა...
უინც დააყოვნებს და მოცდას გვირჩევს: ის იქნება მხდა-
ლი-ლაჩარი!

შტაუფახერი. აწ დაყოვნება საქმეს წაახდენს,
ძალმომრეობას სათანადო გავცეთ პასუხი.

ხალხი. მეტს ვერ მოვითმენთ!
ძალმომრეობას გავცეთ პასუხი!

მოქმედება მესამე

(მინდორი ტყით და კლდეებით... მელხტალ. ბუმგარტენ. ვინკელ-
რიდი, მაიერ სერნელი, ბურკჰარტ ბიუჰელი, არნოლდ სეველი,
კლაუს ფლუელი, კიდევ ოთხი გლეხი სხვა სოფლებიდან. ყველანი
შეიარაღებულნი არიან).

მელხტალ. მთის ბილიკს სწორედ აქეთ მოვყავართ.
მე ეს ადგილი მენიშნება! ნიშიც აქ არის!
აი, ნაკაფი ამას ჰქვია. უკვე მოვსულვართ!
(მაშხალებით გამოჩნდებიან).

ჰინკელრიდ. ფრთხილად იყავით! არავინ არის!

მაიერ. მაშ ჯერ არავინ არ მოსულა დანიშნულ ადგილს?
პირველნი ჩვენ ვართ უნტერვალდედან?

მელხტალ. ნეტა თუ ღამის რა დრო იქნება?

ბაუშგარტიმ. დარაჯდა ორჯერ დაიძახა სელისბერგიდან.

(შორს ისმის ზარის რეკა).

ვინკაქლი. გაჩერდით! გესმით?

მაიმა. ცისკრისას რეკენ, ხმა შვიციდან მოდის.

მელხტალ. მყუდრო ღამეა სუფთა ჰაერით.

ბიტომ შორს უწევს ხმა ზარის რეკის.

მელხტალ. მოიტათ შეშა: ცეცხლი დავანთოთ.

სინათლე იყოს, ხალხი რომ მოვა.

(ორი გლეხი გადის).

ბაუშგარტენ. რა მშვენიერი მთვარიანია.

ტბა სარკესავით გაშლილა ჩემს წინ.

მელხტალ. კარგია! წყალზე უხიფათოთ გადმოსცუ-
რავენ.

ვინკაქლი. (ტბაზე უთითებს). აბა, შეხედეთ!

იქით იცქირეთ! ვერაფერს ამჩნევთ?

მაიმა. რას? დახე მართლა! ცისარტყელა შუალამისას.

მელხტალ. ეგ შუქი არის სავსე მთვარის.

ვინკაქლი. იშვიათი და საუცხოვო ნიშანი არის.

ბევრს ვიცნობ მოხუცს, ასეთ რამეს არ მოსწრებია.

მაიმა. მალლა შეხედეთ, ზემოთ უფრო მკრთალი ზო-
ლია.

ბაუშგარტენ. ძმებო, გახედეთ, ნავი მოსცურავს.

მელხტალ. შტაუბახერ არის უთუოდ.

მაგ დალოცვილმა დიდი ხანი არ გვალოდინა.

(ბაუშგარტენთან ერთად ნაპირს უახლოვდებიან).

მაიმა. მხოლოდ ურიდან იგვიანებენ.

ბაუშგარტენ. მათ შორი გზა აქვთ მოსავლელი მთების
კალთებზე.

რომ არ შემოხვდენ მზვერავ დარაჯებს.

(ამ ხნის განმავლობაში ორმა გლეხმა შუა ადგილას ცეცხლი აანთო).

მელხტალ. ჰეი, მანდ ვინ ხართ?

შტაუფახსმარ. (დაბლიდან) ქვეყნის ერთგულნი!

(ყველანი სიღრმეში მიღგებიან მოსულების შესახვედრად. ნავიდან გადმოხტებიან: შტაუფახსმარ, იტელ რედინგ, ჰანს მაიერ და მისი სხვა გლეხი აგრეთვე შეიარაღებულნი).

უჰმლანი. სალამი ძმებს, ქვეყნის ერთგულებს!

(სანამ სხვები სცენის სიღრმეში დაჰყოფენ და ერთმანეთს მიესალმებიან, მელხტალ და შტაუფახსმარ წინ წამოდგებიან).

მელხტალ. ო, შტაუფახსმარ!

ვნანე საბრალო უსინათლო მოხუცი მამა.

ხელი დავადე იმის ბრმა თვალებს

და ამოვწოვე ჩამქრალ სხივთაგან შურისძიება.

შტაუფახსმარ. ნუ ახსენებ შურისძიებას! შურს არ გიძიებთ!

მხოლოდ თავს ვიცავთ და ვიცილებთ უბედურებას.

ეხლა მიაშბე, ვინ მოკრიფე უნტერვალდენში?

რას ფიქრობს ხალხი, ან და ხიფათს ვით გადაურჩი?

მელხტალ. გადავიარე საშინელი სარენის მთები.

სად ხშირად გვხდება ყინვის ველი უნიადაგო,

და სად არწივის, ბატკნის მტერის, ისმის წივილი,

ალპების გრეხილს მივალწიე, მწყემსების ბინებს.

ნაპრალეებიდან ერთმანეთს რომ გადასძახებენ

და სალამს ასე მიაწვდიან!

იქ აძოვებენ საქონელს ერთად.

წყურვილს ვიკლავდი ყინულიან რძისფერ ჩანჩქერით,

დაბლა რომ მოხტის და ხმაურობს აღჭაფებული,

მე იქ ვხვდებოდი სენის მწყემსებს, ამ ჩემს ერთადერთ

ერთგულ მასპინძლებს, სანამ სოფლებს არ მოვალწევდი.

აქ მშვიდათ მცხოვრებ მოხევეებში
ხმა მისულიყო მამიჩემის უბედურების.

და სადაც კარებს შევალედი, ყველგან მხვდებოდნენ
სრულ თანაგრძნობით.

იქაც მცხოვრებნი, გულუბრყვილო, მართალი ხალხი,
ვნახე მთავრობის მართველობით უკმაყოფილო.

როგორც ალპები წლიდან წლობით არ იცვლებიან.

ერთ და იმავე ყვავილს ზრდიან. ასაზრდოვებენ,
თავის კალაპოტს მდინარენი არ გადადიან
ერთ გზას ადგია. თვით გრიგალი და მთის ღრუბელი,
ასე უცვლელად ხალხის გულში გადმოცემულა
ზნეჩვეულება წინაპრების და მას იცავენ.

მყუდრო ცხოვრების დამრღვეველ უხეშ ცვლილებას
ეს მწყემსი ხალხი არ იკარებს, არ ეგუება
და ვერც იგი აუტანია.

აღტაცებულნი ხელს მიწვდიდნენ... და მღელვარებდნენ,
კედლებს, თაროებს დაქანგებულ იარაღს ხსნიდნენ...

იმათ თვალეებში ეღვარებდა თავის განწირვა,
აინთო მათში მამაცობა, როცა ვუხსენე
მთიელ ხალხისთვის საყვარელი ორი სახელი:
შტაუფახერ და ვალტერ-ფიურსტ!

მაშინვე წმინდა ფიცი დასდეს:

თქვენ ორს გამოგყენენ, იბრძოლონ მედგრად
უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

სტუმრის უფლებით ერთი სახლიდან მეორეში გადავ-
დიოდი.

ამ რიგად ჩაველ ნაცნობ სოფლებში,

სად ნათესავნი მე მყავს მრავალნი:

ვნახე საბრალო მამაჩემი, თვალეებ დათხრილი,
ნამჯაზე მწოლი და სამადლოდ შეფარებული

მეზობლის ქერქევშ.

შტაუშახმარ. ღმერთო მაღალო!

მელხტალ. არ მიტირია:

უმწეო ცრემლით გულის ტკივილს ვერ მივიყუჩებ.
როგორც საუნჯე, ეს ტკივილი ღრმად შევინახე,
ვზრუნავდი მხოლოდ მიზნისათვის, დიდი საქმისთვის!
შევიჭერ ყველგან, მიუვალს და მივარდნილ ხევში.
ძთების კალთებზე დავიარე გლეხთა ქონმახი,
ყველგან ვპოვებდი ღრმა სიძულვილს მტარვალისადმი.
იქაც კი, სადაც ნიადაგი არას იძლევა,
და გლეხკაცობას ენატრება თავისთვის ლუკმა,
ძძვინვარებს ძარცვა მართველისგან დაუნდობელი.
ღარიბი ხალხი ავაჯანყე ბასრი სიტყვებით
და დღეს ისინიც გულით, საქმით ჩვენთან არიან.

შტაუშახმარ. ამ მოკლე ხანში მოგისწრია მრავალი
საქმე.

მელხტალ. მეტიც შევიძელ.

ორი სიმაგრის ეშინია ჩვენს გლეხკაცობას:

როსბერგისა და სარნენის.

აქ კედლებს შორის ჩვენი მტერი გამაგრებულა

და ჩვენს ქვეყანას იქიდან არბევს.

ძოვიწადინე დამეზვერა საკუთარ თვალთ.

ვიყავ სარნენში და დავზვერე ციხე-სიმაგრე.

შტაუშახმარ. როგორ მიჰბედე აფთრის სოროში?

მელხტალ. გადავიცი ბერის სამოსი.

ვნახე მართველი განცხრომილი, მჯდომი სუფრაზე.

გამსაჯე, თავის შეკავება ვით შემძლებია,

რომ მტერს ვხედავდი და იქავე არ ჩავაძაღლე.

შტაუშახმარ. გამბედაობას შენსას, ვფიცავ, ბედი ჰქონია.
(აბ დროს სხვა გლეხები მოუახლოვდებიან).

ეხლა გამაცან, ვინ არიან ეს მეგობრები.

რომ უფრო მეტი ნდობა გვქონდეს ერთმანეთს.

გული გადუხსნათ, ფიქრი ჩვენი გაუზიაროთ.

მსგავრ

მაიერ. თქვენ ვინ არ გიცნობთ ამ სამს კუთხეში?

მე ვარ მაიერ სარნენიდან, ეს გახლავთ ჩემი

დისწული შტრუთ ვინკელრიიდი!

შტაუფახერი. ეგ ნაცნობი გვარია ჩემთვის.

ვინკელრიიდი იყო, ჯოჯო რომ მოჰკლა

იმ ვალიერის ქაობიანს მიდამოებში.

თვითონაც მოკვდა იმ ბრძოლაში.

ვინკელრიიდი. ის იყო ჩემი წინაპარი. ძვირფასო კერნერ!

მელბტალ. (ორ გლეხზე უთითებს).

ეს ორი გლეხი მცხოვრებია უნტერვალდენის

მონასტრის ყმები, საკუთრება არც ერთს არა აქვს.

შტაუფახერი. მომეცით ხელი!

ვინკელრიიდი. გესმით? მოდიან! საყვირის ხმა ურიდან

ისმის.

(მარცხნივ და მარჯვნივ შემოდინან შეიარაღებული გლეხები ბაშხალებით).

მაიერ. იმათთან ერთად, ჰხედავთ, ვინ მოდის?

უვთის მსახური!

ერთგული მწყემსი დაჩაგრულ ხალხის.

გაუმბარტმან. მნათეც მას მოსდევს, ვალტერ ფიურსტიც.

(ვალტერ ფიურსტი, როსელმან, მნათე პეტერმან, მწყემსი უონი, მონადირე ვერნი, მებაღური რუოდი, კიდევ ხუთი გლეხი ყველანი რიცხვით ოცდაცამეტი კაცი, წინ წამოდგებიან და ცეცხლის პირას დალაგდებიან).

ვალბერ. მაშ ასე უნდა დავფერებოდეთ ჩვენს მიწა-წყალზე,

თითქოს ჩვენ ვიყვეთ ავაზაკნი და კაცის მკვლელნი?!

ჩვენი უფლება ბნელ ღამეში უნდა ვეძიოთ?

მელხტალ. დე, ასე იყოს! რაც ბნელ ღამეში დაითესება, ის მზის სხივებზე თავისუფლად გადაიშლება.

როსმელმან. მისმინეთ, ძმანო შეფიცულნო!

აქ შეკრებილხართ ყველა თემის მეთაურები.

თქვენი სურვილი, სურვილია მთელი ხალხისა.

ძმანო, ჩვენც მსგავსათ წინაპართა ჩვეულებისა

შეუდგეთ თათბირს და უკეთუ ჩვენმა კავშირმა

უკანონობა ჩაიდინა, ვართ შენდობილნი,

რადგან საქმისთვის გაჭირვებამ გამოგვიწვია.

ყველგან არს ღმერთი, სამართალი სადაც კი სუფევს!

ჩვენ მის ცის ქვეშე შევეკრებილვართ სამართლისათვის.

შტაუზახმარ. კარგი! ვიმსჯელოთ!

ასეთ ბნელ ღამეს გაანათებს ჩვენი სიმართლე! }

მელხტალ. თუ რიცხვით ჩვენ აქ ცოტანი ვართ. სამაგეროდ

გული ხალხისა ხომ ჩვენთან არის.

უკეთესებიც ჩვენთან არიან.

რონკადჰუნდ. არც ხომ ხელთა გვაქვს ძველი წიგნები.

მაგრამ თვითეულს ჩვენგანს გულში ღრმად უწერია.

როსმელმან. მაშ, აბა, ირგვლივ წრე გააკეთეთ.

დაასვით ხმლები, იარაღი ხელისუფლების.

მაიმარ. თემის უფროსმა დაიჭიროს თავის ადგილი

და აქეთ-იქით დადგებიან სხვა თემებიდან!

როსმელმან. შემოკრებილხართ სამი თემის მეთაურები,

რომელს აირჩევთ წინამძღოლად?

მაიმარ. მაგ სახელოვან არჩევანისთვის

შვიცი და ური "შეიჯიბრნენ": უნტერვალდენი
უთმობს ორივეს.

მელტხალ. დიახ, უთმობს!

ჩვენ მოვსულვართ შველის სათხოვნად მძლავრ მოძ-
მეებთან!

შტაუფახერი. მაშ მეთაურის ხმალი უნდა ურმა მიიღოს.

კველადაც მტერთან ლაშქრობაში წინ მიგვიძლოდა.

ვალტმირ-ფიურსტ. არა: შვიცია მაგის ღირსი, რადგან
ჩვენ ყველა

შთამომავლობით შვიცელები ვართ.

როსმალმან. ნება მიბოძეთ მეგობრულად ასე გადავჭრა:

შვიცმა თათბირში გვიწინამძღვროს, ურმა ბრძოლაში.

ვალტმირ-ფიურსტ. (შტაუფახერს) ინებე ხმალი.

შტაუფახერი. არა! უფროსი ჩემზე სხვა არის.

ეგ პატივი რედინგს ეკუთვნის.

ავირჩიოთ ერთხმად რედინგი.

ვალტმირ. ვინც თანახმაა, აწიოს ხელი.

(ხელებს ასწევენ).

რედინგ. თუმც უწიგნო ვარ,

მაგრამ გაფიცებით მნათობების მარადისობას,
არ უღალატო სიმართლეს და თავისუფლებას.

(ძის წინ ორ ხმალს ასობენ მიწაზე ირგვლივ დგებიან: შვიცს უჭირავს
შუა ადგილი, მარჯვნივ ურს, ხოლო მარცხნივ უნტერვალდენს. რე-
დინგ სდგას თავის მახვილზე დაყრდნობილი).

რედინგ. ეს. სამი თემის მეთაურები, მთების შვილები,
ასეთ ღამეში ხრიოკ ადგილას.

მითხარით, რისთვის შემოკრებილხართ?

ოა უნდა აყოს წმინდა მიზანი ახალ კავშირის.

ლომელიც გვინდა ჩვენ ცის ქვეშ შევკრათ?
შტაუფზახმარ. (წრეში წინ გამოდის).

ჩვენ ახალ კავშირს ეხლა არა ვკრავთ,
არამედ, ძველს, მამაპაპების კავშირს ვანახლებთ.

შეთქმულო ძმებო!

თქვენ, გლეხებო: ჩაგრულ ქვეყნისა!

მართალი არის, ჩვენ ერთმანეთს მთა, ტბა გვაშორებს.

მაგრამ ერთი გვაქვს შთამომავლობა,

და თემს თვითეულს საკუთარი აქვს მართველობა.

სისხლი და ხორცი,

ჩვენ ყველას ერთი სამშობლო გვაქვს დასაბამიდან.

ვინაჲღარიიღ. მაშ მართალია, რაც უმღერიათ.

კითომც მოვსულფართ შორის ქვეყნიდან?

გაგვიზიარეთ რაც კი თქვენ იცით,

რომ მით გაღრმავდეს ჩვენი კავშირიც!

შტაუფზახმარ. მაშ. მომისმინეთ, მე გაიამბობთ მწყემსების
ნათქვამს.

ყოფილა თურმე დიდი ხალხი ამ ქვეყნის იქით.

იქ შიმშილობა ჩამოვარდნილა.

გაჭირების დროს ყრილობაზე დაუდგენიათ.

რომ ათში უნდა ერთი გლეხი აიყაროსო.

დიახ, წილისყრით,

ასეც მომხდარა.

მართლაც აყრილა უამრავი ქალი და კაცი.

უნახავთ დიდი დაბრკოლება და განსაცდელი.

გამოუვლიათ გერმანეთი ბრძოლით და ტანჯვით.

სანამ ამ მხარეს მოახწევდენ, მთიანს და ველურს.

სადაც ამ უამად ველთა შორის მისჩქევს მუოტა.

ადამიანის ნასახიც კი აქ არ ყოფილა,

მხოლოდ ნაპირზე მდგარა ქონხი განმარტოებით.

იქ მებადური მათ გადმოსხმას ელოდებოდა,
მაგრამ ამ ტბაზე დიდი ლელვა იმ დროს ამტყდარა
ვერ შესძლებიათ გაღმა ნაპირს გადაცურება,
უნახავთ აქვე მახლობელი. კუთხე ტყიანი სიმდიდრით
სავსე

და ყველას თავი სამშობლოში ისევ უგრძნია.
აქ დაუსვენიათ დასახლება, სოფლის შენება,
უწოდებიათ იმ სოფლისთვის სახელად შვიცი.
მრავალი ოფლი ჩაუღვრიათ, მრავალი ტანჯვა,
სანამ ნიადაგს გასწმენდავდენ ხის ძირკვებიდან
და შემდეგ, როცა აქ ეს ხალხი გამრავლებულა,
ვიწროდ ყოფილან, და ნაწილი აყრილა ისევ,
და გადასულა შავ მთებამდე, ვაისლანდამდე,
სადაც მუდმივი ყინვა არის და სადაც ხალხი
სულ სხვა ენაზე ლაპარაკობს...

აუშენიათ აქ კერვალდში სოფელი შტანიც
რაისის ველზე სოფელი ალტორფ!
მაგრამ მათ ახსოვთ თვისი მოდგმის შთამომავლობა.
შემდეგ თუ მათში უცხო ტომი ჩასახლებულა,
შვიცელთა ჯიშში განირჩევა პატიოსნებით,
გულით და სისხლით.

(აქეთ-იქით ხელს აწვდის).

მამირ. დიახ, ერთსისხლ, ერთხორც ვართ!

შველანი. (ხელებს ართმევენ ერთმანეთს).

ერთი მოდგმის ვართ!

ერთ მიზანს ვსდიოთ!

შტაუფახმარ. სხვა ხალხი ზიდავს უცხოელ უღელს,
დაემორჩილენ ძალმომრეობას,
ამნაირ მონებს ჩვენს ერშიაც მრავალს იპოვნით,

რომ თვის მონობას გადასცემენ შვილს და შვილის შვილს,
მაგრამ ჩვენ, ხალხო, შვეიცარიის ამაყო შვილნო,
თავისუფლება ჩვენთვის მუდამ სუნთქვა ყოფილა,
და გვიბრძოლია დასაცავად თავგამოდებით.

ჩვენ ქედი არც ერთ თავადისთვის არ მოგვიხრია,
მხოლოდ კეისრის მთარველობა ნებით მივიღეთ.

როსმლშან. ნებით ვირჩევდით სამართლიან მთარველს
და ქომავს!

როგორც ეს ფრიდრიხ კეისარის სიგელში არის.

შტაუშახსმარ. თავისუფლებაც ხომ არ ვარგა უმეთაუ-
როთ?

რომელიც უნდა უმაღლესი მსაჯული იყოს
როცა კი ჩნდება ხალხთა შორის უთანხმოება,
ის უნდა ჰქმნიდეს სწორ კანონსა საკეთილდღეოთ.

ამიტომ იყო, დასაცავად ჩვენი არსების,
და დასაცავად მამულის და ჩვენი სახლკარის,
მიმართეს ჩვენმა წინაპრებმა ქვეყნის ხელმწიფეს,
მოელო ჩვენზე მთარველობა და აღუთქვამდენ
მოკავშირენი იქმნებოდენ საერთო მტერთან,
ეს არის მხოლოდ თავისუფალი მოვალეობა
შენი მთარველი სახელმწიფო შენაც დაიცვა.

მმლხტალ. მაგაზე მეტი, მაგის გარეშე
მონობა არის და ბატონყმობა!

შტაუშახსმარ. და მართლაც ჩვენი წინაპრები, ჩვენი
მამები,

მისდევდენ დროშებს, საბრძოლველად აფრიალებულს,
მრავალი დიდი სახელმწიფო გადაიარეს,
მეფეს დაადგეს რომაელთა მეფის გვირგვინი,
როს ბრუნდებოდნენ, თვით ჰმართავდენ საკუთარ საქმეს,
როგორც ზნე ჩვენი და ადამი გვიკარნახებდა.

ათასში ერთხელ, როცა შკვლელებს ასამართლებდენ,
მეფე მაშინ თუ ძნელ საქმეში ჩაერეოდა,
იმ დროსაც ვინმეს თვის რწმუნებულს გამოგზავნიდა,
რომელს აქ ბინა არც-კი ჰქონდა საცხოვრებელი,
ცის ქვეშ საჯაროდ გაარჩევდა მორიდებულად,
დასდებდა სწორე სამართლის მსჯავრს და წავიდოდა!
აბა, ვინ იტყვის აქ მონობის ნასახი იყოს?
თუ ვინმე არის, სხვანაირად გაუგონია.
სთქვას გაბედულად!

მეფე. არავინ არის! შენ მართალს ამბობ!
ძალმომრეობა არ ყოფილა ჩვენში არადროს!

შტაუფახში. თვით ხელმწიფესაც აუმხედრდით, როცა
მან ჩვენი

ძველი უფლება შესთავაზა აქ მოსულ ბერებს.
ერთხელ, როდესაც მოისურვა აინზიდელმა
ჩვენი ალპების დაჩემება, სადაც ჩვენს ძროხას,
ჯოგს და ცხვრის ფარას ვაძოვებდით უხსოვარ დროდას.
როცა აბატმა გამოგზავნა სიგელ გუჯარი,
რომლის ძალითაც გვერთმეოდა მთელი-მიწები.
თითქოს ჩვენ იმ დროს მკვიდრ მცხოვრებათ
ალარც კი გვთვლიდენ.

შეუძახნიათ ჩვენს წინაპრებს: ყალბი არის ეგ სიგელია!
მეფემ რომ ჩვენი საკუთრება გაასაჩუქროს,
განა ვინ მისცა მაგის ნებაო!

და თუ სამართალს ველარ ვპოვებთ სახელმწიფოში,
უიმისოდაც შევძლებთ მთებში ვიარსებოთო“
ასე უთხრეს ჩვენმა მამებმა.

კითხვით ყმისგან, რასაც მეფეც ვერ გვიბედავდა?
— ჩვენის მარჯვენით შეგვიქმნია ეს ნიადაგი.

აქ ჩაგვიდვრია ჩვენი ოფლი და ჯანი ჩვენი.
ხალხთ საცხოვრებლად უღრანი ტყე გარდგვიქცევია,
სად უწინ დათვნი და ნადირნი დათარეშობდენ.
გავჰყვით კლდენი, გავიყვანეთ გზა და ბილიკი.
ათასი წლობით ვფლობებლობდით ამ შავს მიწაზე
და აქ უცხოელს, ბატონის მონას
ნუთუ უფლება უნდა ჰქონდეს ფეხით გეთელავდეს?
მართალთა ენა დაამუხჯოს,
თვალნი მოხუცი მელხტალისა მან დააბრმავოს,
და ჩვენი მხსნელი — ტელიც კი დღეს ბორკილში ჰყავიან?
ქალს ნამუსს ჰხდიდეს ჩვენს სამშობლოში.
ნუ თუ ვერ უნდა გაუმკლავდეთ ძალმომრეობას?
(გღვინებში დიდი აღელვება).

მშრომელო ხალხო! მტარვალს უნდა ბოლო მოეღოს.
ასტიკი ბრძოლის, დღეს დადგა ქამი!
იარალს უნდა იარალით გავსცეთ პასუხი!
ჩვენ ვიბრძვით ჩვენი არსებობისთვის,
ვიბრძვით, და ვიცავთ:
ჩვენ ცოლშვილს, ჩვენ სიცოცხლეს და მიწაწყალს!
შველანი. (ხმლებს იშიშვლებენ).

ვიბრძვით დავიცვათ ჩვენი ცოლ-შვილი.
როსმელმან. (წინ წამოდგება).

სანამ იარალს აიღებდეთ კარგათ იფიქრეთ.
იქნება სჯობდეს მორიგება მშვიდობიანათ?
სიტყვის დახარჯვა უნდა მხოლოდ, სამაგიეროდ
თქვენ იმ მტარვალებს, ხალხს რომ ასე ავიწროებენ,
ასიამოვნებთ; შეასრულეთ რასაც ითხოვდენ
და ჩამოსცილდით იმპერიას, ფიცი მიიღეთ
ავსტრიის ტახტის.

მანიარ. ეგ ხუცესი რას მიედება?
როგორ? აესტრიის ტახტს შევფიცოთ?
ერთი სირცხვილი კიდევ ვკამოთ?

მანიარ. ყურს ნუ დაუგდებთ.

ვინკაქლარიდი. მაგას გამცემი, ქვეყნის მტერი გვირჩევდა
მხოლოდ.

რადინგ. დაწყნარდით ძმებო!

კონ-ხუნ. ძალას დავნებდეთ. როცა ალერსმაც ვერ
გასკრა ჩვენზე?

მანიარ. მაშინ მონები ვიქნებით მართლაც!

მონის სახელსაც დავიმსახურებთ!

შვეიცარიის კანონიდან განდევნილ იქნეს

ვინც ჩვენ გვირჩიოს მორჩილება აესტრიისადმი!

— თემის უფროსო, მე მოვითხოვ დაბეჯითებით,

კანონის პირველ მუხლად იყოს ეს აღნიშნული.

მელხტალ. დე აგრე იყოს! ვინც გვირჩიოს დამორჩილება

წაერთვას ყველა უფლება და პატივს არ სცემდენ,

არც ერთმა გლებმა არ შეუშვას თავის ოჯახში.

ხველანი. (მარჯვენა ხელს ასწევენ).

ჩვენ ასე გვსურს, იყოს კანონად!

რადინგ. (პაუზის შემდეგ) იყოს კანონად!

როსპლმან. თქვენ მაგ კანონით თავისუფლდებით:

რასაც აესტრია ვერ ელირსა ძალმომრეობით

მას, მითუმეტეს, ჩვენის ნებით ვერ ელირსება.

ვალტმარ ფიშრისტ. ჩვენ დღიურ წესრიგს ნუ გადაუ-

ხვევთ, განვაგრძობთ საქმე.

რადინგ. ნუთუ ყოველი ლმობიერი საშვალეა

ძთლად ამოვწურეთ? იქნებ მეფემ არა იცის-რა?

რასაც ჩვენ ვითმენთ ანუ რაც კი თავს დაგვტეხია,

იქნებ ხდებოდეს წინააღმდეგ მეფის სურვილის?

უკანასკნელად უნდა ვცადოთ ლძობიერება.

სანამ იარაღს ავისხამდეთ

ჩვენ უნდა მეფეს მივმართოთ და ვაუწყოთ ჩვენი

უბედურება, ჩვენი ცრემლი და გაჭირვება.

არ არის კარგი ძალადობა მართალ საქმეში.

ღმერთი ხელს უწყობს, თუ კაციდან შველა არ არის.

შტაუფახსმარ. (კონრად ჰუნს). ეხლა კი ჯერი ჩვენზე არის!

უამბე კრებას!

კონრად ჰუნს. მე ვიყავ თქვენგან წარგზავნილი სამეფო
კარზე,

უდიერობა შემეჩივლა ჩვენი მართველის,

და კვლავ სიგელი აღმედგინა თავისუფლების.

რომელს ახალი მეფე მუდამ ადასტურებდა.

ენახე ელჩები იქ სხვადასხვა სახელმწიფოსი,

იყვნენ აგრეთვე რაინიდან, და შვაბეთიდან.

ყველამ მიიღო პერგამენტი დამტკიცებული

და მხიარულნი ბრუნდებოდენ თავის ქვეყნებში.

მე, თქვენი ელჩი, სათათბიროდ თუმც მიმიწვიეს:

შაგრამ იქ მხოლოდ მაიმედეს ცარიელ სიტყვით:

ამჟამად მეფეს არ სცალიანო.

შემდეგ როდესმე თქვენს საქმეზეც მოიფიქრებსო!

რა გამოვბრუნდი და დარბაზი გამოვიარე,

კუთხეში იდგა ჰერცოგ ჰანსი ატირებული

და იმის გვერდით დიდებულნი: ვარტის მხრიდან, ტეგერ-
ფელდიდან.

იმათ ჩამძახეს:

„თქვენს თავს უშველეთ, თქვენ აქ მეფესთან

ნულარ ეძებთ სამართალსაო!

მეფემ გაქურდა თავის ძმისწული,

მას ჩამოართვა მემკვიდრეობა, დედის ქონება.

ესლა იგი სრულწლოვანია, მართოს სამეფო.
მაგრამ ხელმწიფემ გვირგვინის ნაცვლად
თავზე მას რაღაც სათამაშო ნივთი დაადგა
უთხრა: ეგ არის გასართობი ბავშებისაო!

მაიძა. ხომ გესმით, ხალხო!

სამართალს მეფე ვერ მოგცემთო,
თქვენს თავს თქვენ თვითონ უშველეთო!

ჩაღინა. სხვა გზა არა გვაქვს!

მაშ, გადასწყვიტეთ, რა ვიღონოთ, როგორ მოვიქცეთ?
რომ ჩვენი საქმე გამარჯვებით დავაგვირგვინოთ?

შტაუზახმა. როცა აისხამს ხალხი იარაღს,
და საბრძოლველად გარედ გამოვა,
მაშინ დასთმობენ!

მაიძა. შენ მართალს ამბობ! შესრულება ძნელია
მხოლოდ!

ორ ციხე-კოშკში ჩვენი მტერი გამაგრებულა.

მათ ვერ ავიღებთ თუ კი მეფე ჯარს შემოგვისევს.

ვიღრე შიშველ ხმალს ავმართავთ მტერზე.

პირველ ყოვლისა ხელთ უნდა ვიგლოთ

როსბერგის და სარნენის ციხე!

შტაუზახმა. ნუ დავაყოვნებთ, თორემ წავაგებთ, მტე-
რი გაგვიგებს!

შეთქმულთა რიცხვი მრავალი არის.

მაიძა. ჩვენ კანტონებში მოლაღატე არ იპოვება!

როსმლმან. აჩქარებითაც საქმე წამხდარა. გამუღავ-
ნებულა!

შალმა. და თუ გადავდეთ, ტვინგის ციხეს დაამთავ-
რებენ

და გამაგრდება მასში მართველი!

მაიძა. როგორც სჩანს მართო თქვენს თავზე ზრუნავთ!

ჩუოღ. უსამართლო ბართ!

მაიწარ. (გაცხარდება) ჩვენ უსამართლო?

ური გეწამებს უსამართლობას?

ჩამღიბ. გახსოვდეთ ფიცი და დაჩუმდით!

მაიწარ. რა გაეწყობა, უნდა დავჩუმდეთ.

როცა შვიცელებს ური ემბრობა!

ჩამღიბ. საჯაროდ უნდა გაგამტყუნო, რადგან სიფიცხო არღვევ საერთო მშვიდობიან განწყობილებას.

განა ჩვენ ყველას ერთი მიზანი არ გვასულდგმულებს?

ვინაქალჩიიღ. იქნება სჯობდეს დავიცადოთ შობის უქმემდე.

როცა ჩვენს მართველს საჩუქარსა მივართმევთ ხოლმე, მაინ შეცდლო თერთმეტს-თორმეტს გაბედულ ვაჟკაცს ციხეში შესვლა, ამ დროს ველარც ექვს აიღებდნენ. ესენი შუბებს შეიტანდნენ მტრის შეუმჩნეველად.

რადგან შიგ შესვლა იარაღით აკრძალულია.

შემდეგ ჯოხებზე ამ იარაღს წამოაცვამდნენ,

ამ დროს ჩვენც ხალხი გვეყოლება ჩასაფრებული

და როს შესულნი დაიჭერდნენ შემავალ კარებს.

რეკით გვამცნობდნენ, ჩვენც ერთ წუთში თავს დავე-
სხმოდით

და სულ ადვილად ავიღებდით ცახე-სიმაგრეს.

მელხბალ. როსბერგში შესვლას მე ვიკისრებ! ერთს
გოგოს ვიცნობ,

ჩემის ტრფიალით გატაცებულს დავიყოლიებ

ციხიდან კიბე ჩამოუშვას, ჯერედ მე ავალ.

შემდეგ ამომყვნიენ მეგობრები...

ჩამღიბ. მაშ, აბა. ვის ჰსურს აჯანყება დრომდე გა-
დავდვათ?

(უმეტესობა ხელს ასწევს).

შტაუშახშირ. (ხმებს ითვის).

ოცი თერთმეტის წინააღმდეგ მომხრე აღმოჩნდა.

ვალტმარ. და თუ ამ დასკვნის დღეს ციხენი დაინგრე-
ვიან,

მთებიდან მივცემთ ცეცხლის ნიშანს აჯანყებისთვის,
ყოველ კუთხიდან მაშინ უნდა ხელი ხმალს იკრათ,
ძისაშველებლად გამოეშუროთ.

როცა მართველნი იხილავენ ერთსულოვნებას,
მერწმუნეთ, მტერი უბრძოლველად იარაღს დაჰყრის
და ზურგს გვიჩვენებს.

შტაუშახშირ. არა მგონია, უბრძოლველად გესლერ
დაგვენბდეს,

თუნდაც გავდევნოთ, საშიშარი მაინც იქნება.

მისი დაზოგვა ძნელიც არის, საფრთხილებელიც!

ვაშშბარტმან. მე იქ გამგზავნეთ, სადაც უფრო მეტი
საფრთხეა!

ჩემი სიცოცხლე ტელმა იხსნა განსაცდელიდან,
მსურს ეს სიცოცხლე ჩემს ქვეყანას მიუძღვნა მსხვერპლად,
დამშვიდებულმა, რომ მე უკვე შური ვიძიე
და ჩემს ოჯახში დავიცავი პატიოსნება!

ვალტმარ შიხარაშ. დრო უნდა ყველას! მოთმინებით
უნდა ელოდოთ

ხედავთ, უკვე განთიადია!

შტაუშახშირ. ეხლა კი დროა დავიშალნეთ და დავუ-
ბრუნდეთ

ყველა თავის გზით მეგობრებსა და ნათესავებს.

დაე მწყემსებმა თავის საქმეს მოჰკიდონ ხელი,

ნახირს და ძროხას მოუარონ და ამავე დროს

გააძლიერონ შეთქმულებით ჩვენი კავშირი!

დრომდე ვითმინოთ, გულში ვზარდოთ შურისძიება,

სანამ არ დაჰკრავს საერთო ზარი!

გულს ჩაიკალით თქვენი წყრომა სამართლიანი,
სანამ ერთბაშად არ მოესთხოვით მტარვალს პასუხი.
საერთო საქმეს სძარცვავს იგი, ვინც მხოლოდ კერძო
საქმეზე ზრუნავს.

ჩემი. სხივთა წინაშე. პირველად რომ გვაძლევენ
სალამს,

ხოლო დაბლა კი ჯერედ ხალხი ძილს მისცემია,
ჩვენმა კავშირმა ფიცი დასდოს, მით განამტკიცოს
— ამიერიდან ჩვენ ძმები ვართ ერთი ხალხისა,
და განუყრელი ჭირსა და ლხინში!

(იმეორებენ ყველანი).

თავისუფალი უნდა ვიყვნეთ, ვით წინაპარნი.
მონღრ სიკაცსლეს გვიჯობს სიკვდილი!

(იმეორებენ).

კენ თავს გაძღობთ მაღალ განგებას.

მე ხორციელის ძლიერება ვერ შეგვაშინებს.

(იმეორებენ)

მოქმედება მეოთხე.

(ოთხთერთა ტბის აღმოსავლეთი ნაწილი. დასავლეთით სალი კლდე-
ბი, ტბა დელავს. ელვა და ქუხილი. კუნც რუოდი. მებადურა
და ბიქი).



კუნც. მე თვითონ ვნახე ამ თვლებით, უნდა მერწმუ-
ნოთ!

და ყველაფერიც ასე მოხდა, როგორც გიამბეთ!

რუმღი. მაშ შეპყრობილი წაიყვანეს?

ამ ჩვენს თემებში-განთქმული და დიდი ვაჟკაცი,
თავისუფლების ბრძოლისათვის თავდადებული:
თუ კი ოდესმე ჩვენ ეს ბრძოლა დაგვჭირდებოდა?

ქუნც. თვითონ მართველიც შეპყრობილთან ნავით
მოსცურავს.

ის კი იყო მე გამოვასწარ,

როცა ისინი აპირობდნენ ნავის აშვებას,

შესაძლო არის შეაჩერა დიდმა ავდარმა,

მოსალოდნელმა ქარიშხალმა, რის გამო თვითონ

მეც აქ შევჩერდი!

რუმღ. ჰაი, გიდი ჰა! ბორკილები ტელს უნდა ედოს?

ე, დამერწმუნეთ, მას მართველი ისე დამარხავს,

რომ დღის სინათლეს მოანატრებს, აღარ ახილევს.

მართველი უნდა შიშით კრთოდეს და მოელოდეს

იმ პატიოსან კაცისაგან შურის ძიებას.

რომელიც ასე შეურაცყო...

ქუნც. ილუპება უკანასკნელი ჩვენი იმედი.

დელვა და ქარი უფრო მატულობს!

მშვიდობით, უნდა ბინა მოვძებნო.

ახლო სოფელში! (გადის).

რუმღ. ტელი შეიპყრეს, მოკვდა ჩვენი თავისუფლება!

ო, მტარვალობავ! დრო დაგიდგა ქედი ასწიო,

გადმოანთხიო შენი შხამი და საზიზღრობა!

მართალთა ენა დაამუნჯეს,

თვალი მხედველი დააბრმავეს.

და ჩვენი მხსნელი. მარჯვენაც დღეს დაბორკილია!

შენი. მამი მატულობს ქარიშხალი! სახლს შევეფაროთ!

ამ ტბას შეხედე. თითქოს ლამობს გადმობრუნებას!..

ასე საზარლად არაოდეს აღელვებულა.

— **რუმო.** ქარო იღმუველე, ნაპრალები აანთე მებო!
ზეცის ღრუბელო, წასალეკად მოაგდე ღვარი
და მოსპე მოდგმა ახალგაზრდა თესლით თესლამდე.
პირველყოფილო ველურებავე, შენ ჰბატონობდე!
დათვო და მგელო, ეს ქვეყანა დღეს თქვენ გეკუთვნით!
თავისუფლებას მოკლებული ცხოვრება არ ღირს!
ისარი თავში საკუთარ შვილს დაუმიზნეო!
სად გაგონილა? უწინ ან ვინ აიძულებდა,
მამას ესროლა შვილისთვის? ო, არ მიკვირდეს.
ოჲ წონგრეს კლდე და ნაპრალი,
დაცნეს მყინვარი, ის უცვლელი დასაბამიდან,
დაეშვას დაბლა ნიაღვრათ ფაფარაყრილი.
შეირყეს მთები და კვლავ მოხდეს მეორე წარღვნა,
ყველა წალეკოს,
და არსებული აღიგავოს მიწის პირიდან!
(ისმის ზარის რეკა).

შანი. გესმის რეკავენ, ხმა ისმის მთიდან!
აღბად შენიშნეს იღუპება ტალღებში ნავი.
მოგვიწოდებენ უბედურთა შესავედრებლად.
(კლდეზე ადის).

რუმო. ვაი იმ ნავსა, მოტანებულს ასეთ ღელვაში!
საქე და ღუზა ვერას უშველის.
მესაქე თვითონ გრიგალია და ის განაგებს!
ტალღა ბურთივით ათამაშებს იქ ადამიანს.
მერე, მახლობლად რომ არც არის ნავთსაყუდარი!
იქ სალი კლდენი მალღა ცამდე აყუდებულან.

შანი. (მარცხნით უჩვენებს).

მამი. აგერ, ნავი გამოჩნდა.

ის ვლუგელიდან აქეთკენ მოდის.

რუოღი. ღმერთო, უშველე უბედურ ხალხს!
თუ ამ სრუტეში შემოაგდო ნავი გრიგალმა.
ვერ გადარჩება ძე ხორციელი.
(კლდეზე ადის).

ჟანი. მამი. ის, ხავი ურის თემის ბატონს ეკუთვნის!
კაძჩნევ ბაირალს და წითელს ანძას.

რუოღი. მართლა ის არის! ღმერთო ჩემო! მასში მარ-
თველი
და მისი მსხვერპლი! ასე მალე ზეცა შურს ძიობს.
დაე მან იგრძნოს ბრძანებელი უფრო ძლიერი!
მტარვალო, ტალღა შენს მუქარას არად ჩააგდებს.
შენი ქუდის წინ სალი კლდენი თავს არ დახრიან.
შვილო, იმისთვის ნუ ლოცულობ!
მსაჯულს ხელიდან მას ნუ სტაცებ, დაე აღსრულდეს.
ჟანი. მე მართველისთვის არ ვლოცულობ — ნავში
ტელია.

ტელისთვის უფალს ვევედრები...

რუოღი. ბედო მუხთალო! უგუნურო განგების ძალნო!
ერთი ცოდვილის დამნაშავეის გულისთვის ღუპავთ
მრავალ უცოდველს, ნავში მყოფებს?

ჟანი. ჰხედავ, ჰხედავ, მაღალ გორას გასცდენ მშვი-
დობით;

მაგრამ გრიგალმა დაქროლილმა ეშმაყურედან.
კვლავ შემოაგდო აქსენბერგში.

--- ეხლა მოფარდნენ, ველარ ვხედავ!

რუოღი. იმას ვეძახით ცულპირა კლდეს!

იქ დაღუპულა მრავალი ნავი,

თუ ვერ დააგდეს იმათ ის გეზი. დაიმსხვრეყიან

და ღრმა უფსკრულში ჩაინთქნებია.

იმათ ჰყავთ ერთი კარგი მესაჭე-მამაცი ტყე.

მაგრამ ხელფენს დაბორკილი აქვს!

(ვილჰელმ ტელ შეილდით შემობრბი, აჩქარებული; განცვიფრებული ირგვლივ ავთალიერებს. აღელვებულია. შუა სცენაზე. მუხლებზე დაეშობა. ხელს მიწას შეახებს და შემდეგ ცად აღაპყრობს).

შენი. (შენიშნავს). ჰხედავ, მამი, ვილაც კაცია დაჩოქილი.

ჩუოლი. მიწას ეხვევა! აღელვება ეტყობა დიდი.

შენი. (უახლოვდება) რას ვხედავ! მამი! მამი! მამი!

წილი ნახე!

ჩუოლი. (უახლოვდება) ამას ვის ვხედავ! ღმერთო ჩემო!

ტელ, შენ ხარ? გამაგებინე, აქ როგორ გაჩნდი?

შენი. განა იმ ნავით არ მიჰყავდით ხელებშეკრული?

ჩუოლი. განა თუ ნავით კიუსნახტში არ წაგიყვანეს?

ტელ. (აღგება) გავთავისუფლდი!

ჩუოლი. გათავისუფლდი? მადლობა ღმერთს!

შენი. სიდან მოდიხარ?

ტელ. იმ ნავიდან!

ჩუოლი. როგორ? რას ამბობ!

შენი. (მსწრაფლ) მერე, მართველი?

ტელ. ტბაზე დასცურავს!

ჩუოლი. შესაძლო არის? აქ როგორ გაჩნდი?

როგორ აღწიე თავი ტალღებს და ან ტყვეობას?

ტელ. ღმერთმა მიშველა.... აი, როგორ...

ჩუოლი და შენი. გვითხარ, გვითხარ!

ტელ. რაც მოხდა ალტორფს. გეცოდინებათ.

ჩუოლი. ეგ ვიციტ მერე?

ტელ. რომ შემბოქეს და გამამგზავრეს კიუსნახტისკენ...

ჩუოლი. ეგ ვიციტ! გვიტხარ აქ როგორ გაჩნდი?

ბმლ. შეპყრობილი ვეგდე შე ნავში.
უიარაღო მტრების ხელში და უიმედო.
რომ ვერ ვნახავდი მზის სინათლეს
და ველარც ცოლ-შვილს.

რუმოლი. საბრალოვ!

ბმლ. მივცურავდით მართველთან ერთად:
მე, რუდოლფ ჰარას და ამალის შემადგენლობით.
ჩემი შვილდი და ისარი კი საქესთან ეგდო.
როგორც კი გავცდით მცირე აქსენს, ასტყდა გრიგალი.
„შიშმა შეიპყრო ნავოსნები, აზრი დაჰკარგეს
და გადარჩენის მათ იმედი აღარა ჰქონდათ.
მაშინ კი ერთმა მოახსენა მთავარმართებელს:
ხომ ხედავთ თქვენსას და აგრეთვე ჩვენს გაქირვებას,
დალუპვა გველის. ნაოსნები ვერას აწყობენ,
მათ ელდისაგან გზა დაებნათ, აზრი დაჰკარგეს
და არც იციან ტბაზე გეზი, მაგრამ აქ ჩვენთან
არის ტელ მცოდნე ნაოსნობის და გამოცდილი,
რად არ ისურვებთ ნავის საჭე მას მიანდოთო!
მართველმა მითხრა: ტელ, თუ გვიხსნი განსაცდელისაგან,
აგხსნი ბორკილებს, თავისუფლებას დაგიბრუნებო!
მე ვუპასუხე: ღვთის შემწევით ვეცდები-მეთქი.
მანთავისუფლეს, უმაღლეს საქეს მოვკიდე ხელი
და გაბედულად წინ გავესწიე...
თან კი ფარულად ჩემს იარაღს ვათვალითვალებდი,
და ამავე დროს გადასახტომს ადგილს ვეძებდი.
და შევამჩნიე ჩემს წინ სალი კლდე აიმართა.

რუმოლი. იგი კლდე ვიცი! ცულისპირას მას ეძახიან.
ის მეტისმეტად პიტალოა, დაქანებული,
კაცი ვერ ავა!

ბმლ. მენავეები ვავამხნევე: „მოუსვით ნიჩაბს,

ჩვენ გვეშველება; თუ იმ კლდესთან მივცურდით მეთქი“. მართლაც მივცურდით, ნავის ცხვირი მივხარე კლდისკენ, შეილდს ხელი ვსტაცე, უცბად ავხტი რაც ძალი მქონდა, ისე რომ ნავი უკუ ვაგდე, აველ იმ კლდეზე.

იცურეთ მეთქი, მივაძახე, ბედის ამარად!

ასე, გადვურჩი ტალღებსა და კაცთ ძალადობას!

რუმოლი. ტელ! ტელ! განგებას მოუღია დიდი წყალობა! ჯერედ გონებას არა სჯერა, რომ შენ ნამდვილად...

საით აპირებ ეხლა წასვლას?.. უნდა მოჰფარდე...

შესაძლო არის. გადაურჩეს ტალღებს მართველიც...

თელ. როდესაც ნავში ტყვედ მივყავდი, მაშინ ამბობდა.

რუმოლი. ხმელეთით წავა?

თელ. ასე ამბობდა.

რუმოლი. ო, საჩქაროთ უნდა მოჰფარდე.

მეორედ ველარ გადურჩები.

თელ. მითხარ, მოკლე გზა რომელია კიუნსნახტისკენ?

რუმოლი. შარა გზა მიდის შტაინახზე,

მაგრამ უფრო კი მოკლე და მყუდრო, რომ არავინ გნახოს.

ლოვერზე მიდის, ჩემი ბავში იმ გზას გიჩვენებს.

თელ. (ხელს ჩამოართმევს).

ღმერთი გადგიხდის სიკეთისთვის.

მშვიდობით იყავ!

(მიდის, ისევ ბრუნდება).

იქნებ ნაკაფში შენც დაესწარ ფიცის მიღებას?

მე კარგად გიცნობ....

რუმოლი. დიახ, დავესწარ! შევეფიცე კიდევ!

თელ. მაშ, აი, რას გთხოვ, წადი ბიურგლენში, იქ ნახავ ჩემს ცოლს; დამწუხრებულს შეატყობინე, რომ მე გადავრჩი და თავს ვათარებ.

რუღლი. მკითხოს რა უთხრა? სად იმალები?

თელ. ჩემს ცოლთან ნახავ ჩემს სიმამრსაც, სხვა შეთქმუ-
ლებსაც!

უთხარ მათ ყველას მხნედ იყვნენ და იმედიანად!

უთხარ მარჯვენა ტელისა-თქო განთავისუფლდა.

უთხარ, რომ მალე გაიგებენ დიდებულ ამბავს...

რუღლი. რას განიზრახავ: რა გიძევს გულში? მენდე
თამამად:

თელ. საქმემან ჩემმან გამომაჩინოს — მაშინ გაიგებ!

(გაღის).

რუღლი. ჟენი! წადი და გზა უჩვენე! ღმერთი გფარავდენ.
რაც გულში უძევს შეასრულებს (გაღის).

მეორე სურათი

მიყრუებული გზა კიუსნახტისკენ

თელ. მან უნდა აქეთ გამოიაროს,
კიუსნახტისკენ სხვა გზა არ მიდის.
აქ შეევასრულებ ჩემგან განზრახულს.
გარემოებაც სწორედ ხელს მიწყობს.
ბუჩქი დამფარავს, როს ისარს ვესვრი.
მთებში ვერც მდევარს დამადევნებენ.
მართველო, შენთვის საათმა დაჰკრა!
ურის თემს უნდა გამოეთხოვო!

— : —

უწინ ვცხოვრობდი დამშვიდებული,
ისარს ნადირს თუ დავუმიზნებდი.
აწრად კაცის კვლა არ გამივლია,

მაგრამ მომისპე შენ ბეუდლოება.
შურისძიების შხამი აღმიძარ.
და ბოროტების გზაც შენ მიჩვენე,
ვინც შვილს საკუთარს უმიზნებს მარჯვედ.
მტრის გულს მით უფრო ის არ გააცდენს!

— : —

ჩემი საბრალო, უმანკო ბავშნი-
და საყვარელი ჩემი მეუღლე
შენის რისხვისგან უნდა დავიცვა!
აჲ, როცა ჩემს შვილს შვილდს ვუმიზნებდი,
და ხეღი ჩემი მიკანკალებდა.
ბოროტის კილვით მაიძულებდი
ძესროლა თავში! გევედრებოდი.
მაგრამ მუდარა არ შეისმინე...
მაშინ მე დავდე სასტიკი ფიცი,
ამას მე ზეცა აღბად მისმენდა.
მეორე უნდა შენთვის მესროლნა!
იმ წამების დროს, რაც გულში აღვთქვი.
ის არის წმინდა. დანაშაული.
იგი ამჟამად უნდა ასრულდეს!
შენ ხარ ბატონი, მეფის მართველი!
მეფეც კი ამას ვერ გაჰბედავდა.
რაც იმ დროს შენს თავს მიეცი ნება.
მან გამოგგზავნა ამ ჩვენს თემებში
არა იმიტომ, შეგვავიწროვო,
აწამო ხალხი — მშვიდი მცხოვრებნი.
არამედ უნდა ჰქმნა მსაჯულება,
თუნდაც სასტიკი, აუტანელი.
მაგრამ ყველასათვის კანონიერი!

კიდევ არსებობს ღმერთი მართალთა,
სჯის უსამართლოს და შურს იძიებს!

— : —

ო, ჩემო შვილდო, ჩემო იმედო!
ერთგულო ჩემო დიდო საუნჯევ!
დღეს უნდა შენთვის ნიშანი დავსვა,
მუდამ რო ასე გულცივი იყო
და ჩვენს მუდარას არ იკარებდა,
მაგრამ შენ იგი ვერ გაგიმაგრდეს!
შენც, მტკიცეთ იყავ გაბმულო ლარო,
აქამდე ლხინში სახელს მიხვეჭდო,
ეხლა გამიძელ, არ მიღალატო გაქირვებაში!
ჩემო ისარო, შენც მიერთგულე,
რომ ასცდე ნიშანს, სხვას ველარ ვისვრი!
(მგზავრები გაივლიან).

ამ ლოდზე მცირე ხანს ჩამოვჯდები,
აქ ისვენებენ ხშირად მგზავრები
ერთმანეთისთვის მარად — უცნობნი.
გვერდს ჩაუვლიან, არ კითხულობენ
ვის რა აწუხებს, რა მიზანი აქვთ!
მიდის ვაჭარი ზრუნვით აღსავსე,
მლოცველიც აქვე ჩაივლის ხოლმე,
ყაჩადი, ქურდი, ვინმე ჯამბაზი
და მეწვრილმანე ცხენ-დატვირთული
ამ ბილიკს მიჰყავს თავის საქმეზე...
(ჩამოვჯდება).

სხვა დროს, შვილებო, როცა კი მამა
ისევ ოჯახში დაბრუნებულა,
მიგებებიხართ მას სიხარულით.

რამე თან თქვენთვის მომიტანია:
ის ან ყოფილა ალპის ყვაილი,
ან უცხო ჩიტი, ან რქა ამონის.
უნლა კი იგი სხვა ნადირს ეძებს;
ამ გზაზე ფიქრობს კაცის მკვლელობას!
მან მტერს სიცოცხლე უნდა წაართვას!
— ეხლაც შეილებო, მე თქვენთვის ვზრუნავ,
ეხლაც, — დავიცვა უმანკოება,
გადაგარჩინოთ მტარვალის რისხვას, —
მხოლოდ ამიტომ დავსაქმე ისარს!
აქ კეთილშობილ ნადირს ვდარაჯობ.
მონადირე ხომ მზად უნდა იყოს,
რომ ზამთრის სუსხში იხტუნოს კლდეზე,
ტანჯვით იფოფხოს ციცაბოებზე
და ბოლოს მოჰკლას დამფრთხალი ჯიხვი.
მე უფრო მეტი ჯილდო მომელის:
მტარვალის გული!
ჟინც ლამობს ხალხის განადგურებას!
(ისპის მუსიკა. რომელიც თანდათან ახლოვდება).

მთელ სიცოცხლეში შეილდი მქერია
ბავშობიდანვე შივარჯიშნია,
პევრჯერ ნიშანში რომ მისროლია,
მე ჩემი სწორი არეინ მყოლია,
საქები ჯილდოც იქ მიმილია!
დღეს უნდა ვტყორცნო ერთხელ ისარი,
მთაში სახელი დავიმსახურო,
ჩემი მიზანი მხოლოდ ეს არის!

(სცენაზე გაივლის საქორწინო პროცესია ტელ უმზერს შეილდზე დაყრდნობილი).

შტიუსი (იხველე უალოკდება).

კლასტერ პაიერს ქორწილი აქვს! შეძლებულია!

მაგას ალპებში ათ ალაგს ძროხის ბინა აქვს!

მან პატარძალი მოიყვანა იმიზედან!

ამლამ კიუსნახტში ქეიფი და ლხინი იქნება.

წამო, წავიდეთ!

პატიოსანი ყველა სტუმრად მიიპატიეთა.

ბელ. აბა, ქორწილში მოწყენილ კაცს რა ადგილი აქვს?

შტიუსი. დარდი გაწუხებს? გადააგდე დარდი გულიდან!

ამ წუთისოფელს დაეშურე, დრო ცუდი დადგა!

ამიტომ კაცი უნდა აჰყვეს სიამოვნებას!

აქ რომ ლხინია, ალბად ნადმე ვისმე მარხავენ.

ბელ. ხანკი ორივე ერთად ხდება: ლხინიც, სიკვდილიც!

შტიუსი. ასე ყოფილა ეს ქვეყანა...

უბედურება საკმაოდ ხდება. გლარნეში თურმე.

მოსახლეობა წაუღეკავს მთას დაცურებულს.

ბელ. როგორ? მთებიც კი ირყევიან? მკვიდრად რაღაა?

შტიუსი. სხვაგან სხვა უფრო საკვირველი ამბავი ხდება.

წელან მიაბზო ბადენიდან ერთმა მოსულმა:

ვინმე რაინდი მიდიოდა თურმე მეფესთან,

გზაზე ამ მხედარს დახვედრია კელა და კოლო.

ცხენი მოუკლავთ, თვითონ მეფეს ფეხით ხლებია.

ბელ. უღონოსაც კი იარაღი თანდაჰყოლია!

(არმგარდი შემოდის რამდენიმე ბავშვით და შემოსავალში ჩერდება).

შტიუსი. ეს მოასწავებს თურმე ქვეყნის უბედურებას და მძიმე საქმეს.

ბელ. მძიმე საქმეს ყოველდღე ვხედავთ!

განა მაგისტვის საჭიროა სასწაულთ ხილვა?

ტიუსი. ბედნიერია.

ვინც თავის ნაბნავს ამუშავებს მყუდროებაში,
ან უვნებელი დაბრუნდება თავის ოჯახში.

ბმლ. სათნო კაციც კი ვერ დარჩება მყუდროებაში,
თუ კი ბოროტი მეზობელი არ მოუსვენებს!

(ღელ აქეთ-იქით იხედება. მოუსვენარ მოლოდინშია).

შთიშსი. მშვიდობით! გატყობ ვილაცას უცდი.

ბმლ. ეგრეა სწორედ!

შთიშსი. გისურვებ კეთილს,

შენ ურიდან ხარ? დღეს იქედან ჩვენს ბატონს ველით!

მზნაპრი. (გავლით).

დღეს მართველს ნულარ ელოდებით!

წვიმების გამო. თურმე წყალი აღიდებულა,
და ბოგირები, თუ ხიდები ღვარს წაუღია. -

(ღელ ადგება).

არმზარდ. (წინ წამოდგება).

მაშ მართველი დღეს აღარ მოვა?

შთიშსი. რისთვის კითხულობ?

საქმე გაქვთ რამე?

არმზარდ. ჰო, საქმე მქონდა!

შთიშსი. ამ ვიწრო გზაზე?

არმზარდ. აქ ვერ ამცდება, თხოვნას მომისმენს!

ფრისპარდ. (სასწრაფოდ შემორბის და იძახის).

გზა. მეფის მართველს! მბრძანებელი აქეთ გაივლის.

(ღელ გადის).

არმზარდ. (ცოცხლად) მართველი მოდის!

(ბევრებით წინ გზაზე დადგება. მალეობზე გამოჩნდებიან ვესლურ
და რუდოლფი).

შტიუსი. (ფრისპარდს) მითხარ. წყალს როგორ გაძო-
ხველი?

აქ ისე გვითხრეს, მდინარეები აღიდებულან
და ბოგირები წაუღლიაო!

ფრისპარტ. ჩვენ, მეგობარო, მღელვარ ხღვაზე გრიგალს
ვებრძოდით,

ოას დაგვაკლებდა ალპის მდინარე?

შტიუსი. იმ საშინელ მღელვარების დროს ნავში
ისხედით?

ფრისპარტ. დიახ, ვისხედით!

ჩემს სიცოცხლეში ვერც დავივიწყებ...

შტიუსი. ახ! დარჩი გვიამბე!

ფრისპარტ. არა მცალიან! უნდა წავიდე.

მთავარმართებლის მობრძანება უნდა ვაცნობო (გაღის).

შტიუსი. პატიოსნები რომ მსხდარიყვენ ღელვის დროს
ნავში,

დაინთქმებოდენ უეჭველად, ისინი კი გადარჩენილან!

დასწყევლოს, თითქოს ცეცხლიც, წყალიც მარტო
ხალხს მტრობდეს.

(ათვალიერებს)

ის შვილდოსანი სადღა გაჰქრა, ეხლა აქ იყო.

(გესლერ და რუდოლფ პარასელი).

მისლერ. სთქვი რაც გენებოს! მე ვარ მეტქი მეფის
მსახური.

და მუდამ ვფიქრობ მეფის გული როგორ მოვიგო,

რა მოვიქმედო მოეწონოს, ვასიამოვნო!

იმიტომ კი არ გამომგზავნა თემთა მართველად.

გავანებივრო ეს მთის ხალხი, არამედ უნდა
მორჩილებაში მოვიყვანო. ასე სურს მეფეს.

ბრძოლა სწარმოებს, მბრძანებელი ვინ უნდა იყოს:
მეფე თუ გლეხი?

არმზარდ. ეხლა კი დროა. მოვანსენებ...

(მოწიწებით უახლოვდება).

მესლერ. როგორ გგონია სარზე ქუდი რად გამოვკიდე?

არა მასხარად ასაგდებად — ხალხის საცდელად,
— მე ამ ხალხს ისეც კარგად ვიცნობ დიდი ხანია.

მე იგი ქუდი გამოვკიდე, რომ ქედის მოხრას
შეჩვეულიყვნენ, ასე განგებ მოვიმოქმედე
ცხვირწინ, შარაზე, რომ სცემოდათ მუდამ თვალებში.
და ყოველ წუთში ხსომებოდათ თავისი მეფე.

(მას არმზარდ წინ გადაეღობება).

არმზარდ. მოიღე ჩვენზე მოწყალება. დიდო ბატონო!
შეგვიბრალე! შეგვიბრალე!

მესლერ. რას მელობები შუა გზაზე? იქით მომშორდი!

არმზარდ. ჩემი მეუღლე ციხეში გიზით,

ბავშნი სიმშლით ძეხოცებიან,

გვექმენ მოწყალე და შეგვიბრალე.

რუდოლფ. ვინ ხარ? ვინ არის შენი ქმარი?

არმზარდ. ერთი საწყალი მიწის მუშა რიგიბერგელი
მიუვალ ადგილს, მთის კალთაზე თივას თიბავდა,
სადაც ცხვრის ფარა ვერ უდგება და მით გვარჩენდა!

რუდოლფ. (მართველს).

შართლაც ცხოვრება ღარიბული ჰქონიათ საწყლებს.

გთხოვთ აპატიოთ და ის კაცი ანთავისუფლო.

სასჯელად კმარა მისთვის ძნელი ის მუშაობა!

(დედაკაცს).

უმჯობესი იქნება. ქალო, თხოვნით მიჰმართო
მთავარ-მართველს სასახლეში, აქ არ უხდება,
არც ადგილია!

არმზარდ. არა. არა. ფეხს არ მოვიცვლი;
სანამ მართველი შეპყრობილ ქმარს არ დამიბრუნებს,
ექვსი თვე არის ის საბრალო ციხეში უზით,
და დღემდე იგი ვერ ელირსა მსაჯულთ განაჩენს!

ბმსლმრ. ძალას მივმართო, დედაკაცო? დაიწი უკან!

არმზარდ. სამართალს ვითხოვ, მართველო, სამარ-
თალს ვითხოვ!

შენ ჩვენი ქვეყნის მსაჯული ხარ მეფის მაგიერ,
შენი ვალია დასდო მსჯავრი, ანთავისუფლო!
აგრემც უფალი შევლას მოგცემს. გვიშველე რამე.
მოიღე ჩვენზე მოწყალება!

ბმსლმრ. დამეკარგე! ჰეი დარაჯო!

მომაშორე ოხერი და უზრდელი ხალხი!

არმზარდ. (უფრო გზად ეღობება).

არა! უარესს რაღას მიზამთ? რა მამბადია,
ან რას დავკარგავ? არ გაგიშვებ, სანამ სამართალს
არ გადასწყვეტ!

იკმუხვნე შუბლი. აბრიალე შენი თვალები,
ალარ მაშინებს შენი წყრომა ესდენ უბედურს.

ბმსლმრ. ჩამომეცალე, თორემ ფეხით ზედ გადაგივლი.

არმზარდ. დამადგი ფეხი! აჰა! მომკალ!

(ბავშვებთან ერთად მიწაზე დაემხოზა).

დამხობილი ვარ შენს წინაშე ბავშვებთან ერთად.
აჰა, გასრიხე უბედურნი, ობლად შთენილნი.
განა ნაკლები სისასტიკე ჩაგიდენია?

რუდოლფი. ხომ არ გაგიჟდი, დედაკაცო!

არმზარდ. (გაკაპასებული. მეთად აღელვებული).
დიდი ხანია ჩვენს ქვეყანას შენს ფეხქვეშ სთელავ!
ო, ვაი რომ დედაკაცი ვარ!

ვაჟკაცი ვიყო, მე ამ მტვერში არ ვეგდებოდი,
სხვა გზას ვნახავდი...
(სიმალიდან კვლავ მექორწინეთა მუსიკის ხმა ისმის).

მისლმარ. სად არიან ჩემი მცველები?
მომაშორონ ეს დედაკაცი,
თორემ ჩავიდენ ისეთ რამეს. თვითვე ვნანობდე.

რუღოლფი. გზა მექორწინე ხალხს უჭირავს, ვერ გა-
მოსულან
ჩვენი მცველები!

მისლმარ. თავხედ ხალხისთვის ლმობიერი მართველი
ვიყავ,

და მიტომ არის თავისუფლად როშავენ სიტყვებს.
ძირში მოსაქრელ ენას მიტომ ატარტარებენ.
ვფიცავ. შევბორკო ყველასი სუნთქვა.

ყველას კისერი მოუგრიხო,
მოვხარო მათი ამაყი ქედი.
წესი გამოვცე ისეთი რომ... ბედს იწყევლიდნენ
მე მსურს....

(ისარი მოხვდება. გულზე ხელს იტაცებს, წაიქცევა).

ძიშველეთ! ღმერთო!

რუღოლფი. ბატონო ჩემო! ღმერთო, რა მოხდა!
საიდან იყო?

არმზარდ. (აღტაცებული) მოჰკლეს! მოჰკლეს!
ისრით განგმირეს! მართველი მოჰკლეს!

რუღოლფი. რა ღვთის წყრომაა! ბატონო ჩემო!
ღმერთს შეევედრეთ!
განწირული ხართ სასიკვდილოთ!

განსვამ. ტელის ნასროლი ისარია.

(ხელით იჭერენ, იქვე ქვაზე ჩამოსვამენ).

ბელ. (კლდეზე გამოჩნდება).

მსროლელი იცან! მე ვარ, მტარვალო!

გლენის ქონი განთავისუფლდა!

ძალმომრეობას ბოლო მოელო!

შენ ჩვენს ქვეყანას ველარას ავნებ!

(მოფარდება. შემორბის ხალხი).

შტიუსი. (სხვებზე წინ შემორბის)

რა მოხდა? რა ამბავია?

არმბარდ. მართველს ისარი მოარტყეს გულში.

ხალხი. ვინ ესროლა? ვინ მოჰკლა იგი?

(საქორწინო პროცესიის წინა ნაწილი სცენაზეა, მაღლობზე მოსჩანს. ისმის მუსიკა).

რუდოლფი. სისხლით იცლება! შველა სჭირდება!

ჩქარა დოსტაქარს დაუძახეთ!

ჩქარა მდევარი! მკვლელს მდევარი!

უბედურო, ეს მოგელოდა?

რად არ ისმინე ჩემი რჩევა?

შტიუსი. გამჩენის მადლმა, ისე რიგად გაფითრებულა.
თითქოს კვდებოდეს.

ხმები. ვინ იყო? ვინ ესროლა?

რუდოლფი. ეს ხალხი ხომ არ გაგიყებულა?

მიცვალებულზე გლოვის ნაცვლად მუსიკას უკრავს?
შეაჩერეთ!

(მუსიკა უცბათ შეჩერდება ხალხი მატულობს)

ბატონო, მითხარ, თუ რამე გაქვს კიდევ სათქმელი.
იქნებ შეიძლო და გამანდო შენი სურვილი.

(ვესლერი ხელით ანიშნებს, ვერ მიმხვდარან, ძირს დაუშვებს).

რაო, რას ბრძანებ? კიუსნახტისკენ? ვერ მივხვდი,
რა გსურს?

აგრე რათ სცხარობ? დაივიწყე ამქვეყნიური!
ილოცე, ზეცამ შეგირიგოს!

(მექორწილენი ირგვლივ შემოერთყმიან მომაკვდავს. უაზრო და
ლთანაგრძნობა ზიზით შეპყრობილნი).

შტიუსი. ჰხედავთ, გაფითრდა, მალე სიკვდილი დაე-
უფლება.

ოვალნი დახუჭა.

არჩიარდ. (ბავშს მალა ასწევს).

შვილო, უმზირე როგორ კვდება შენი მტანჯველი!

რუდოლფი. ქალებო, ხომ არ გადირიეთ? რა დაგე-
მართათ?

განა რა გრძნობა შეგერჩენიათ, უმზერთ მომაკვდავს
და სტკებებით ესრეთ საშინელებით?

— მოდით მიშველეთ — მოჰკიდეთ ხელი! —

არვინ მშველის, რომ ისარი ამოვაცალოთ?

ხმები (უკან დაიხვევენ).

ღმერთმა დასაჯა, ვერ უშველით ღვთისგან დარისხულს!

რუდოლფი. თქვე წყეულებო!

(ხმალს იშიშვლებს)

შტიუსი. არ გაბედო! შენ აღარ ხარ ჩვენი ბატონი!

თქვენს ბატონობას ბოლო მოელო!

ქვეყნის მტარვალი დამხობილია.

შეიპყარით ეს მეფის ნაშთი!

შველანი. გაუმარჯოს თავისუფლებას!

რუოდი. ხედავთ იმ მთებზე ცეცხლის ნიშნებს?

შთიუსი. გესმით რეკავენ ტყის გადაღმა.

რუოდი. ალბად იმათ მტერი განდევნეს.

შთიუსი. სჩანს ციხეებიც აულიათ.

ჰმანი. ჩვენ ურელები რაღას უცდით და არ დავან-
გრევთ მტარვალის ბუდეს?

სად არის ჩვენი გზირი მებუკე?

მეზუჰე. აქ ვარ! რას მეტყვით.

ჰმანი. ადი მალლობზე, საყვირს ჩაბერე.

ხმა მიაწვდინე კიდით კიდემდე

რომ აიშალოს მთის ბინადარი

და აქ მოგროვდეს!

ჰალ. **ფიურსტ.** (შემოდის) მოიცათ ძმებო!

ჯერ ცნობა არ გვაქვს შვიციდან და უნტერვალდიდან!

ჯერ იმათ მთხრობელს დაუცადოთ!

ჰმანი. იმათ რილასთვის დაუცადოთ?

უკვე დაემხო უცხო მტარვალი,

თავისუფლების დღე გაგვითენდა!

რუოდი. განა არ კმარა ცეცხლის ნიშნები?

მთხრობელს რილასთვის უნდა ვუცადოთ?

ჰმანი. დავანგრიოთ ციხე-სიმაგრე,

რომ ქვა ქვაზედაც კი აღარ დარჩეს!

ჰალბერ ფიურსტ. ხალხს ველარავინ შეაჩერებს, რაკი
დაიწყო!

(შემოდინან მელხტალ და ბაუმგარტენ).

მელხტალ. როგორ, აქ განა საპყრობილე კიდევ ფეხზეა?
როცა სარნენში და როსბერგში მტვრად ქცეულია?

ვალ. ფიურსტ. მეხტალ, ეს შენა ხარ?

თავისუფლების ამბავი მოგაქვს?

მტრის ურდოები გაიდევნა ჩვენი ქვეყნიდან?

მელხტალ. გაიდევნა, ჩემო ქალარავ, გიხაროდეს!..

შვეიცარიის მიწა-წყალზე ველარც ერთ მტარვალს
ველარ ნახავ...

შური ვიძიე უსინათლო მამიჩემისა!

ვალ. ფიურსტ. ჰო, მიაბზე... როგორ დაამხეთ ძლიერება...

(შემოდინ ტელი, შტაუფახერ, ხალხი).

ხმები. ვილჰელმ ტელ მოდის!

ჩვენს მფარველს და

ქვეყნის დამხსნელს

ტელს გაუმარჯოს....

ფ ა რ დ ა .